



## მიშელ ფუკო: ფილოსოფოსი და სოციუმის მკვლევარი

“გენეალოგია ცდილობს ჩაწვდეს იმ ენის წყაროებს, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, და წესებს, რომელთაც ჩვენ ვიცავთ. ეს იმისთვის კეთდება, რომ ნათელი გახდეს ჰეტეროგენული სისტემები, რომლებიც ჩვენს ეგოს ნილაბამოფარებული გვიმაღავენ რეალობას. მისი მიზანია არა ის, რომ „ხელახლა აღმოაჩინოს ადამიანური პიროვნების ჩამოყალიბების წყაროები, არამედ ეჭვი აღგვიძრას და გაფანტოს ეს „ილუზიები“. გენეალოგია „ცდილობს აღმოაჩინოს ყველა დარღვევა ადამიანური ისტორიის თანმიმდევრობაში”.

1. მიშელ ფუკოს ცხოვრება და შრომები.
2. მიშელ ფუკო ჰეგელის, ჰაიდეგერისა და სარტრის იდეების მემკვიდრე და განმავითარებელი.
3. ფუკო – ჯორჯ კანგილჰემი და ლუი ალთიუსერი: იდეური პაექრობა.
4. ფუკო და ნიცშე: ძალაუფლების ფილოსოფია.
5. ფუკო უპსალას (შვედეთის) უნივერსიტეტში.
6. ფუკო: სიგიჟე და საზოგადოება.
7. ფუკო – „კლინიკის დაბადება: მედიცინის არქეოლოგია”
8. ფუკო: ეპისტემეს – დისკურსის ცნება.
9. მიშელ ფუკო და თომას კუნი: დისკურსი და პარადიგმა
10. ფუკო: „არსებულის ისტორია” და „გენეალოგიის მეთოდი”
11. ფუკო: ციხეების დაბადება – ძალაუფლება და ცოდნა. პანოპტიკუმი
12. ფუკო: სექსუალობის ისტორია.
13. ფუკოს ძირითადი იდეები და საკვირველი მომენტები
14. ფუკოს ცხოვრების ქრონოლოგია.

მიშელ ფუკოს სოციალური დოქტრინის ძირითადი ცნებები (მოკლე შინაარსი) გვ. 26

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

ეპისტემე - დისკურსი - პარადიგმა, “ცოდნის არქეოლოგია” და “ძალაუფლების გენეალოგია”, ძალაუფლება და ცოდნა “, შეშლილობა და ცივილიზაცია”, კლინიკის დაბადება ,დისციპლინა და სასჯელი, პანოპტიკუმი,“სექსუალობის ისტორია”, "მოსახლეობის ბიოპოლიტიკა",

ფუკო არ მიეკუთვნება კლასიკური ტრადიციის მატარებელ ფილოსოფოსთა რიცხვს. მიუხედავად ამისა ერთი პერიოდი მას ახალ კანტად მიიჩნევდნენ, რაც, რა თქმა უნდა გაზვიადებულია. ეს არ არის ფუკოს ბრალი (თუმც არც ძალიან ცდილობდა უკუეგდო ასეთი დაფასება). არც ის დაბრალდება ფუკოს, რომ მისი კლასიკოს\_ფილოსოფოსად გადაქცევა აბსოლუტურად შეუძლებელი იყო. აქ ინტელექტი არაფერ შუაშია. საქმე იმაშია, რომ არსებითად ვიტგენშტეინმა ანგარიში გაუსწორა კლასიკურ ფილოსოფიას. ის ამტკიცებდა, რომ ისეთი რამე, როგორც ფილოსოფიაა მეტი აღარ არსებობს, არის მხოლოდ ფილოსოფოსობა. ძირითადი ფილოსოფიური საკითხების უმრავლესობა ლინგვისტიკური შეცდომების შედეგია. საკმარისია მიხვდე შეცდომას და საკითხიც თავისთავად გაქრება. ხოლო ყველა დანარჩენ კითხვას, უბრალოდ, არა აქვს პასუხი (ან უფრო სწორია თუ ვიტყვით, რომ მათი (კითხვების) დასმა შეუძლებელია).



მაგრამ კლასიკური ფილოსოფიური ტრადიცია ერთ-ერთ თავის ვარიანტში მაინც აგრძელებდა არსებობას კონტინენტალურ ევროპაში, კონკრეტულად ჰაიდეგერის შრომებში. მას პრეტენზია ჰქონდა, რომ იმოქმედებდა ვიტგენშტეინის ფილოსოფიის გარეთ, ლოგიკის საზღვრებს მიღმა და გაანალიზებდა ადამიანის აზრისა და აღქმის საფუძვლებს. ამ კონცეფციამ დიდი გავლენა იქონია ფუკოზე. მან აღმოაჩინა ახალი ფილოსოფია და დაინახა რომ ყოველ „ცოდნას“ მართლაც აქვს ჭეშმარიტების საკუთარი ვერსია. მან დაამტკიცა, რომ ეს „ჭეშმარიტებები“ ბევრადაა დამოკიდებული მათ წანამდღვრებზე, ე.ი. იმ მსოფლმხედველობაზე, რომელიც ამ ჭეშმარიტებების გაცხადების დროს იყო გაბატონებული.

ფუკო შეუდგა თავისი ამოცანის გადაჭრას უფრო როგორც ისტორიკოსი და არა როგორც ფილოსოფოსი, მონდომებით სწავლობდა იმ პერიოდის დოკუმენტებს, რომელსაც ეხებოდა. ამგვარად, „პირველი წყაროებიდან“ დებულობდა ცნობებს საზოგადოების შესახებ, მისთვის საინტერესო ეპოქის ცოდნის სისტემასა და ძალაუფლების სტრუქტურაზე, ფუკო აკეთებს დასკვნას, რომ ცოდნა და ძალაუფლება ისე მჭიდროდ კავშირში არიან, შესაძლებელია მათი ერთ ტერმინში გაერთიანება (მაგალითად „ძალცოდნა“). ეს იყო მისი ფილოსოფიის ცენტრალური რგოლი. მაგრამ ამ აღმოჩენისაკენ მიმავალ გზაზე და მისი შედეგების შესწავლას წინ უსწრებდა უზარმაზარი რაოდენობის ფაქტების განხილვა. სიგიჟე, სექსუალობა, დისციპლინა და დასჯა – ამ საკითხების ისტორიას ის მიიჩნევს თავისი ფილოსოფიური იდეების აუცილებელ ნაწილად. თუ ამას დაემატება ამ პრობლემების კავშირი საკუთარ ცხოვრებასთან მივიღებთ თანამედროვე ეპოქის ყველაზე სენსაციურ ფილოსოფიას.

მაგრამ, როგორია ამ სენსაციის ნამდვილი ფილოსოფიური ღირებულება? ფუკოს გარდაცვალების მერე ოც წელზე მეტი გავიდა, მაგრამ დღემდე არ არსებობს ერთნაირი აზრი ამ საკითხზე. ფილოსოფიური დავიწყება ადვილია, მაგრამ ის ფაქტი, რომ ფუკოს იდეები ჯერ კიდევ განიხილებიან, თავისთავად აღიარებას უნდა ნიშნავდეს. თუ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს, ამას ჩვენ არავინ შეგვეკითხება.

**მიშელ ფუკოს ცხოვრება და შრომები.** პოლ\_მიშელ ფუკო დაიბადა 1926 წლის 15 ოქტომბერს ქ.პუატიეში, პარიზის სამხრეთით, 250 კმ. დაშორებით. მისი მშობლები მდიდარი ბურჟუაზია ქალაქში, რომელიც არის ფრანგული პროვინციალიზმის განსახიერება. მამა, წარმატებული ქირურგი, ასწავლის ადგილობრივ სამედიცინო კოლეჯში. დედა – ენერგიული ქალბატონი, რომელიც განაგებდა მეუღლის კაპიტალს, აწესრიგებდა მეუღლის პრაქტიკას და მამაკაცურად დაჰყავდა ავტომობილი.

პუატიეში სახლის გარდა ქალაქგარეთაც ქონდათ პატარა სახლი. პოლ\_მიშელის ბავშვობაში ლა ბოლში, ატლანტიკის სანაპიროზე მათ აიშენეს ხუთკაციანი ოჯახისა და მოსამსახურისათვის საკმაოდ დიდი, ხუთოთახიანი ვილა. აქ, სანაპირო ზოლის წიწვოვან ტყეში ფუკოს ოჯახი ატარებდა ზაფხულის დღეებს. მამა კეთილი იყო, მაგრამ მკაცრი. დედა საქმიანი, კარგად მომვლელი. უფროს დასა და უმცროს ძმასთან პოლ-მიშელის ურთიერთობა სამაგალითო იყო. ასეთი წარმომავლობა ტიპურია ბევრი შეურიგებელი ფრანგი ფილოსოფოსებისათვის, რომლებიც ბურჟუაზიული ძალაუფლების ფორმებსა და ბურჟუების ქცევებს უპირისპირდებოდნენ. (თუმცა ფუკო შეეცადა დაპირისპირებოდა მრავალ სხვა რამესაც, მან ვერ აარიდა თავი ამ სტერეოტიპსაც, რომელიც ფრანგ ფილოსოფოსებზე დაწყებული ვილტერიდან სარტრამდე ბატონობდა).

სკოლაში პატარა მიშელი სუსტი და ახლომხედველი იყო, რის გამოც თანაკლასელებმა მალევე შეარქვეს პოლიმიშელი (ცირკის კუზიანი მასხარას ფრანგული ექვივალენტი).



ფროიდის მიმდევრებს ალბათ დააინტერესებს, რომ ის ოცნებობდა გამხდარიყო ოქროს თევზი. ეს საეჭვო ოცნებები აისახა მის სწავლაზე. მიუხედავად ამკარა ნიჭისა ის არასოდეს არ გამოირჩეოდა. მის საყვარელ საგანში, ისტორიაშიც კი ის მეორე იყო.

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები ნაკლებად აღელვებდა მშვიდ პუატიესა და ფუკოს ოჯახურ ცხოვრებას. სანაპიროზე ვილა აშენდა დიდი დეპრესიის პირველ წლებში. ჰიტლერის მკვეთრი განცხადებები პრესაში დახვეწილ ირონიულ ღიმილს იწვევდა, ხოლო მორის შევალის ხავერდოვანი რბილი ჩანაწერები ფონოგრამებზე ტრიალებდა.

ათი წლის პოლ-მიშელი ხედავს თუ როგორ დახეტილებენ პუატიეს ქუჩებში ესპანეთის სამოქალაქო ომის პირველი ლტოლვილები. სამი წლის შემდეგ გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ოჯახი უკანასკნელად დაბრუნდა ლა ბოლიდან, ზაფხულის არდადეგების შემდეგ. ფუკო 14 წლის გახდა, როდესაც ნაცისტები შეიჭრნენ საფრანგეთში, ხოლო ფრანგების არმია უწესრიგოდ იხევდა უკან. პუატიეც კი მოიცვა შიშმა. დოქტორი ფუკო ხელმძღვანელობს სასწრაფო დახმარების რაზმების ორგანიზებას პუატიეში. მისი მეუღლე შემფოთებული კი იყო, მაგრამ ირწმუნებოდა, რომ ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. პატარა პოლ-მიშლს, რომელიც ჯერ კიდევ სკოლის ფორმაში დადიოდა, ყველა ეს მოვლენა ნამეტანი აფორიაქებდა. იმ ზაფხულზე გამოცდის შედეგები საზიზღარი იყო.

დედის მცდელობით ის გადაიყვანეს სხვა სკოლაში სადაც „სამაგელი იხვი ლამაზ გედად გადაიქცა“. ეს მოვლენა, ან მაგალითი გამეორდება მის ცხოვრებაში. ფუკო ჩაიჭრება მნიშვნელოვან გამოცდებზე, მაგრამ ხელმეორედ გასვლისას ბრწყინვალე შედეგს აჩვენებს. ოცი წლის ფუკო, მეორე ცდით ჩაირიცხება პარიზის უმაღლეს ნორმალურ სკოლაში. ეს იყო ინტელექტუალური ორანჟერეა, სადაც ტრიალებდა ფრანგი სტუდენტების ნაღები ნაწილი. აქ სტუდენტობა ნიშნავს, რომ სამუდამოდ განეკუთვნები უმაღლეს კასტას. სტანდარტებთან შესაბამისობა არასოდეს ყოფილა ტიპიური საფრანგეთისათვის და სუპერინტელექტუალური „სტუდენტები“ ხშირად საკმაოდ უცნაურები იყვნენ. მაგრამ აქაც კი, ფუკო ძალიან მალე მკვეთრად განსხვავდებოდა სხვებისაგან.

ამ დროისათვის სკოლის ჩუმი და უწყინარი მოწაფე გადაიქცა უკიდურესად ფეთქებად ადამიანად. ერთი წლით, ან ოდნავ მეტით ადრე მან თანდათანობით გააცნობიერა თავისი არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია, რომ ის ჰომოსექსუალისტია. იმ დროისათვის ეს კანონსაწინააღმდეგოა, პუატიეში ხომ საერთოდ წარმოუდგენელია. პოლ-მიშელი საკუთარ დედასაც კი ვერ მიმართავდა რჩევების ან დამშვიდებისათვის. თანაც სერიოზულად ეჩხუბა მამას. მან უარი განაცხადა გაეგრძელებინა ოჯახური ტრადიცია, არ მოისურვა ექიმობა. უბრალოდ, მედიცინა მას არ აინტერესებდა. ის გარბოდა ზემოთ, თავის ოთახში, მოაჯახუნებდა კარს და მთელი არსებით ეძლეოდა მორიგ წიგნს ისტორიის სფეროდან. იმ დროისათვის როდესაც მან ხელმეორედ ჩააბარა გამოცდები უნივერსიტეტში მისი გენიალობა ეჭვს აღარ იწვევდა. (მისი საგამოცდო შედეგები მეოთხე იყო საფრანგეთში). მაგრამ ისიც უეჭველი იყო, რომ მას ახასიათებდა გენიოსებისათვის დამახასიათებელი მწელადსავარაუდო ქცევები.

პარიზში მან უბრალოდ მიშელი დაირქვა (წაშალა მამის სახელი – პოლი). მიშელ ფუკოს უნივერსიტეტში ყოფნის პირველი წელი იყო უსიამოვნებებისა და პრობლემების უწყვეტი თანმიმდევრობა. ერთხელ მან სამართებლით დაისერა მკერდი, მეორეჯერ დაიჭირეს, როდესაც დანით მისდევდა სტუდენტს, შემდეგ მიიღო რა აბების დიდი რაოდენობა, სცადა თვითმკვლელობა, საბედნიეროდ წარუმატებლად. ის ბევრს და ხშირად სვამს. ზოგჯერ ნარკოტიკებსაც გაეთამაშებოდა (იმ პერიოდისათვის ეს იშვიათობაა). ზოგჯერ რამდენიმე დღით დაიკარგებოდა, რომლის მერე ძლივს მოლასლასდებოდა ხოლმე საერთო



საცხოვრებელში, თვალეზრაცენილი და გამხდარი. მას აწუხებდა დანაშაულის შეგრძნება მისი მარტოხელა ხეტიალის დროს თავგადასავლებების გამო.

ფუკოს არ შეეძლო მარტო ყოფნა, მაგრამ საერთო საცხოვრებლის სტუდენტებიდან არავის არ უნდოდა მასთან ერთად ერთ ოთახში ცხოვრება. ისინი მას უყურებდნენ როგორც საშიშ გიჟს, მისი ბრწყინვალე გონება ამა ხაზს უსვამდა. მეცნიერულ კამათში ძლიერი და შემტევი, უარს არ ამბობს არც ფიზიკურ ზეწოლაზე, უხეში ფიზიკური ძალის გამოყენებაზე. სტუდენტები მას თავს არიდებდნენ და ამის გამოც მას უვითარდებოდა ფსიქოსომატური აშლილობა. ხანგრძლივი შეტევები და იზოლაციურებში კენტად გატარებული დრო საშუალება იყო დროებით არიდებოდა საერთო საცხოვრებლის ბინარდებს. ის აქ ძალიან ბევრს კითხულობდა, ბევრს საუნივერსიტეტო სტანდარტების გათვალისწინებითაც კი.

**2. მიშელ ფუკო ჰეგელის, ჰაიდეგერისა და სარტრის იდეების მემკვიდრე და განმავითარებელი.**

ფუკოს, შეიძლება ითქვას, შემთხვევითი ინტერესი ისტორიის მიმართ, შემდეგ უკვე ლოგიკურ გახდა. მან დაიწყო XIX საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსის ჰეგელის შრომების კითხვა, სადაც მტკიცდებოდა ისტორიის მნიშვნელობა და კოგნიტური კავშირი. ისტორიის მიზანია მისი ხანგრძლივი განვითარება ჭეშმარიტი გონიერისაკენ. ჰეგელის თანახმად „ყოველი ჭეშმარიტი გონიერია, ყოველი გონიერი ჭეშმარიტია“. ზედაპირულ მოვლენებს მიღმა იმალება ისტორიის სტრუქტურა. „ისტორია აყენებს კითხვას: რა იყო და რა არის? ფილოსოფიას აინტერესებს არა ის, თუ რა იყო, ან ის, თუ რა იქნება, არამედ ის, რაც არსებობს ახლა და იარსებებს ყოველთვის; მას აინტერესებს ადამიანის გონი“. ისტორია და ფილოსოფია შეერწყა ერთმანეთს, გახდა ერთიანი მთლიანი, რომელიც უშუალო კავშირშია არსებულთან.

ჰეგელის მერე ფუკო დაინტერესდა XX საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსის მ.ჰაიდეგერის შრომებით. ჰაიდეგერი თვლის, რომ კატეგორია ადამიანი განისაზღვრება უფრო სიღრმისეული ელემენტებით, ვიდრე გონებაა. „მთელი ჩემი, როგორც ფილოსოფოსის განვითარება განსაზღვრული იყო ჰაიდეგერით დაინტერესებით“ – წერს ფუკო მოგვიანებით. ჰაიდეგერის შრომებთან პირველი შეხებით აღფრთოვანებას კარგად გვიხატავს მისი მოწაფე – ჰანა არენდტი: „აზრი კვლავ აღმოცენდა; წარსულის კულტურული განძი, მკვდრად რომ ითვლებოდა, კვლავ ახსენებს საკუთარ თავს, და აღმოჩნდა, რომ ისინი გვთავაზობენ რაღაც სავსებით სხვა რამეს, რომელიც არ გავს ბანალურ ჭეშმარიტებას, რომელიც მათ მიეწერებოდა“. წარსული ცხოვრობს აწმყოში, და ის, თუ როგორ გვესმოდა ჩვენ წარსული გვიჩვენებს თუ როგორ უნდა მოვექცეთ ჩვენ აწმყოს. ისტორია არ ანიჭებს მარადისობას წარსულის ჭეშმარიტებებს, მაგრამ გვიჩვენებს აწმყოს ჭეშმარიტებას. ასე სჯის ფუკო.

იმ დროისათვის ჰაიდეგერის ფილოსოფია პარიზის სანაპიროს კაფეებში ცხარე კამათის ობიექტია. ტრადიციულ ღირებულებებში ომისშემდგომმა იმედგაცრუებამ განაპირობა ჟან-პოლ სარტრის, გავრცელებული ეგზისტენციალიზმით დაინტერესება, რომელიც თვად იყო ჰაიდეგერის ძლიერი გავლენის ქვეშ. სარტრის ეგზისტენციალიზმი ღრმად სუბიექტურია, ის ამტკიცებდა, რომ არსებითთან მიმართებაში არსებობა პირველადია“. ადამიანურ არსებასა და სუბიექტურობას მნიშვნელობა არა აქვს. ამ არსებას ჩვენ თავად ვქმნით იმის შესაბამისად თუ როგორ ვარსებობთ, როგორ ვაკეთებთ არჩევანს და როგორ ვმოქმედებთ გარემომცველ სამყაროში. ამგვარადვე, ჩვენი სუბიექტურობა არ იყო რაღაც მუდმივი,



შეუძლებელია მისი ზუსტი და საბოლოო განსაზღვრება. ის მუდმივად იქმნება, მუდმივად ვითარდება, როგორც ჩვენი ცხოვრების წესის შედეგი.

ფუკომ მიიღო ჰეგელის, ჰაიდეგერისა და სარტრის მრავალი იდეები. მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა ქონდათ იმ იდეებს, რომლებიც მან უარყო. მისი ფილოსოფიური პოზიცია ყალიბდებოდა ამ ფილოსოფოსების იდეების რთული აღქმით, განსაკუთრებით სარტრისა. როგორც პიროვნებასა და როგორც მოზროვნეს, სარტრს არ ყავდა ბადალი პარიზის სივრცეში. ასე გრძელდებოდა პრაქტიკულად ფუკოს მთელი ცხოვრების მანძილზე და სარტრი მისთვის იყო განვითარების მაგალითიც და სტიმულიც. სარტრის იდეებმაც დაახლოებით ასეთივე როლი შეარულა ფუკოსათვის. მაგრამ ფუკო სულაც არ იყო განწყობილი ვინმეს ჩრდილში დიდხანს დასარჩენად. ის არა მხოლოდ პატივმოყვარეა, საკმაოდ ჯიუტიცაა, რომ არ განეცხადებინა პრეტენზია, მიუხედავად იმისა, რომ სურვილები ხშირად წინ უსწრებენ იდეებს. ფუკოსათვის ვერავინ ვერ გახდება მეორე მამა, ერთიც სავსებით საკმარისია.

ახალგაზრდა ძალზე სწრაფად იზრდებოდა როგორც პიროვნება და როგორც ფილოსოფოსი. საკუთარი ინტელექტუალური ძალების რწმენა შესაბამისობაშია მის ემოციურ თვითშემეცნებასთან. ის შეეჩვია და მიიღო საკუთარი ჰომოსექსუალიზმი, ხასიათის სიმკაცრე კი პერიოდულად ვლინდებოდა სადომაზოხისტურ გართობებში.

### 3. ფუკო – ჯორჯ კანგილჰემი და ლუი ალთუსერი: იდეური პაექრობა.

ამ დროისათვის ფუკოს ინტელექტუალურმა უნარმა უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორების ყურადღება მიიქცია, მათ დაიწყეს საკუთარი იდეების განხილვა ფუკოსთან ერთად. პროფესორი ჯორჯ კანგილჰემი ქმნიდა აბსოლუტურად ახალ, მეცნიერების სტრუქტურულ ისტორიას. მას მიაჩნია, რომ მეცნიერება არ ვითარდება თანდათანობით და შეუქცევადად. მეცნიერების ისტორიამ იცის მთელი რიგი განსხვავებული მოვლენებისა, როდესაც ცოდნა აკეთებდა გიგანტურ ნახტომებს რომელიდაც ახალ სფეროში. (ეინშტეინის ფარდობითობის თეორია XX საუკუნეში ასეთი ნახტომის ყველაზე ცნობილი მაგალითია). კანგილჰემს ქონდა ხარისხი ფილოსოფიასა და მედიცინაში, რაც უჩვეულო იყო. ეს იყო შეასაძლებლობა დაესვა კითხვა: „რა არის ფსიქოლოგია?“ ბედის ირონიით ის აკრიტიკებდა ფსიქოლოგიას იმის გამო, რაშიც ხედავდა მის ძალასა და დანიშნულებას: თვითშემეცნებისაკენ სწრაფვისათვის. რა არის ფსიქოლოგიური ცოდნის ბაზისი? რას აკეთებს ან რის გაკეთებას ცდილობს ის? ასეთი კითხვები საინტერესო იყო ფუკოსათვის, ვისი ახალგაზრდობის ნახევრად გიჟურმა ქცევებმა აიძულა ის სერიოზულად გარკვეულიყო ტრადიციულ ფსიქოლოგიაში. მას ეზიზღებოდა საკუთარი თავი პაციენტის როლში და გული აიცრუა ფსიქოლოგიაზე დაფუძნებულ მკურნალობაზე, რამაც აიძულა „დაევიწყებინა ყოველიცვე ეს, როგორც კი ფსიქიატრი წავიდა შვებულეებაში“. ახლა კი კანგილჰემმა გაახმოვანა ის, რასაც ინსტინქტურად გრძნობდა: ფსიქოლოგიას აკლია ცოდნა იმისა რა არის და რით უნდა იყოს დაკავებული.

ფუკომ ასევე მიიქცია ლუი ალთუსერის ყურადღება, რომელიც მაშინ ძალზე ახალგაზრდა ასწავლიდა უნივერსიტეტში. ომის დროს ალთუსერმა ხუთი წელი გაატარა საკონცენტრაციო ბანაკში, რომლის შემდეგ გახდა თავგადადებული მარქსისტი. ახლა ის ანვითარებდა მარქსიზმის თეორიას იმ მიმართულებით, რომელიც შემდეგ ცნობილი გახდება სტრუქტურალიზმის სახელით. ის ამტკიცებდა, რომ მარქსის კითხვისას უნდა გახვიდე დაწერილი ტექსტის ჩარჩოებს მიღმა. მხედველობაში უნდა მიიღო „ცოდნის დიაპაზონი“, რაც ზღვარს უდებდა გადმოცემის ენასა და მარქსის კონცეფციას ცალკეული



ისტორიული პერიოდით. უნდა შეეცადო ჩაწვდეს მარქსის დაყენებულ ფუნდამენტურ პრობლემებს (თუნდაც რომ მარქსს ამის ეჭვიც კი არ ქონდა). ალთუსერმა დაარწმუნა ფუკო გამბდარიყო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი. მიუხედავად სტალინიზმისაკენ მიდრეკილებისა საფრანგეთის კომუნისტური პარტია იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა საფრანგეთში, ძირითადად მისი გმირული მონაწილეობის გამო წინააღმდეგობის მოძრაობაში ნაცისტური ოკუპაციის დროს. ფუკო უადგილოდ გრძნობს თავს პარტიაში და არ ესწრებოდა მის კრებებს. შეეგუა რა თავის ორიენტაციას და მიიღო რა ის, როგორც თავისი ცხოვრების მთავარო ნაწილი, მას აღიზიანებდა პარტიის პოზიცია, რომ ჰომოსექსუალიზმი არის „ბურჟუაზიული დაცემის“ გამოვლენა. (ალთუსერი რჩებოდა უნივერსიტეტში სტუდენტებზე მარქსისტული გავლენის ძირითად წყაროდ, სანამ 1981 წელს არ გაგუდა საკუთარი მეუღლე. ცხოვრების დარჩენილი ათი წელი მან საგიჟეთში გაატარა, სადაც დაწერა ბრწყინვალე ავტობიოგრაფია, რომელშიც აღიარა, რომ მარქსის ძალიან ცოტა ნაშრომები ქონდა წაკითხული).

1951 წელს ფუკომ ბრწყინვალედ ჩააბარა გამოსაშვები გამოცდები, როგორც წესი, მეორედ გასვლაზე. ახლა უკვე წინაა სამხედრო სამსახურის პერსპექტივა. მაგრამ ცნობამ „დეპრესიის“ შესახებ და ალბათ ოჯახის მცდელობამაც საშუალება მისცა არ დაეხარჯა ორი წელი ამ საქმეზე. ის გახდა უმაღლესი ნორმალური სკოლის მასწავლებელი – ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში. მისმა დაინტერესებამ ფსიქოლოგიით განაპირობა მისი ხშირი სტუმრობა წმ. ანას ჰოსპიტალის ფსიქოლოგიურ განყოფილებაში. აქ მალე მას უკვე ეპყრობოდნენ, როგორც პერსონალის წევრს იმ განსხვავებით, რომ არ უხდიდნენ ხელფასს, მას უფლება ქონდა, როგორც ექიმს ემუშავა პაციენტებთან. უნივერსიტეტში ის ცნობილი გახდა იმით, რომ სტუდენტებს აძლევდა რორშახის ასოციაციურ ტესტებს „რათა დაედგინა თუ რას ფიქრობდნენ ისინი“.

მაგრამ ეს იყო ცოტა უფრო მეტი ვიდრე სტუდენტთა ტესტირება ან საგიჟეთის ყოფილი პაციენტის დაბრუნება უკვე ექიმის რანგში. ფუკომ საკუთარ თავს დაუსვა სერიოზული კითხვები ფსიქოლოგიასთან მიმართებაში, კითხვები, რომლებიც ალთუსერის ვარაუდების საზღვრებს გასცდა. როგორ შეიძლება შეისწავლო (შეიძინო) გამოცდილება მეცნიერული გზით? ადამიანური ასეობა არ ქვემდებარება ობიექტურ შესწავლას: მასთან უნდა მიხვიდე მისი ადამიანური ბუნების თვალსაზრისით (გათვალისწინებით). ამის მიღწევა შესაძლებელია თვით ადამიანის ბუნების ცნებისა და მისი განვითარების შესწავლით.

**4. ფუკო და ნიცშე: ძალაუფლების ფილოსოფია.**

ფუკომ აღმოაჩინა იმ ფილოსოფოსის შრომები, რომლებმაც არსებითად შეცვალეს მთელი მისი შეხედულებები. დროის მიხედვით ნიცშე ჰაიდელგერზე ადრე მოღვაწეობდა და მასზე დიდი გავლენა ქონდა. ფუკომ თითქოსდა აღმოაჩინა საკუთარი აზრების წყარო. 1953 წლის ცხელი აგვისტო მან გაატარა რომის ძველი ნავსადურის სივითავიერიას პლაჟზე, სადაც ხარბად ეწაფებოდა „ძალის ფილოსოფიის“ იდეებს. ნიცშეს მაგალითად მოყავს ძველი საბერძნეთი, სადაც დიონისეს სიგიჟის დამანგრეველმა ძალებმა იმავდროულად შეიძინა სილამაზე და სიდიადე, რაც მომწყვდევლია აპოლონის ქანდაკებაში. ორივე ერთნაირადვე აუცილებელია და ეს ეხება ადამიანსაც და ხელოვნების ნაწარმოებსაც. ჭეშმარიტება ორივესათვის – ეს არაა „რადაც მოცემული, რადაც, რაც ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ ჩვენში – ეს არის ის, რაც ჩვენ თავად უნდა შევქმნათ“. თვით კაცობრიობაც იყო კულტურულ ძალებზე დამოკიდებული, ცვალებადობის უნარით დაჯილდოებული სოციალური სტრუქტურა. ეს იყო სწორედ ის გზავნილი, რასაც ფუკო ასე დიდხანს ელოდა. მანამ, სანამ



ფუკოს ნიცშეს ფილოსოფია გაიტაცებდა ის ამბობდა, რომ „თავს ხაფანგში გრძნობდა“. ახლა კი მიხვდა, რომ თავად შეუძლია შექმნას საკუთარი თავი ისე, როგორც უკეთ მიაჩნია თავად. მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ ერთადერთი გაკვეთილი. როგორც ფუკო ვარაუდობდა, კაცობრიობის შესწავლა შეიძლება მხოლოდ მისი ისტორიის შესწავლით. თითქოს მისი სუბიექტური არსებობა და კაცობრიობის მისეული გაგება ერთად შეირწყა. ის თვლის, რომ „კაცობრიობამ უნდა მოიძიოს საკუთარ თავში უარესი, რათა შესძლოს საუკეთესოს დადგენა“. არსებობის უდიდესი სიამოვნებაა – „იცხოვრო ისე, რომ იყო საშიში“. სინამდვილეში, ადამიანის მიახლოება მისი შესაძლებლობების ზღვართან შეუძლია ეროტიკულ აღზნებას. ამის მიუხედავად ნიცშემ პრაქტიკულად მთლიანად ჩაახშო საკუთარი სექსუალობა. მაგრამ ნიცშეს სიტყვები მუსიკის ჰანგებად ჩაესმა ახალგაზრდა სოდომაზოხისტს. აქედან ერთი ნაბიჯია უფრო მნიშვნელოვან აღმოჩენამდე: ნიცშე ნებისმიერ ადამიანურ საქმიანობაში გამოყოფს ძალის ცენტრალურ როლს და ეს ფუკოსათვის იყო მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა. ასეა მოწყობილი ეს სამყარო.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ცხოვრება არ შემოიფარგლება ფილოსოფიით. ბოლოს და ბოლოს ფუკო პარიზელია. ახალგაზრდა, იმედის მომცემი ფსიქოლოგ-ფილოსოფოსია, ხშირად ჩნდება ინტელექტუალურ კაფეებში, სენის მარცხენა სანაპიროზე. ერთ საღამოს მან გაიცნო ახალგაზრდა კომპოზიტორი, სახელად ჟან ბარაკი. ფუკოს უყვარდა თანამედროვე კლასიკური მუსიკა, თუმცა ნაკლებად ერკვეოდა მის ტექნიკურ სირთულეში. მან მალევე დაასკვნა, რომ ბარაკი იყო „თანამედროვე მუსიკალური თაობის ერთ-ერთი კამკაშა ვარსკვლავი, ჯერ ღირსეულად ვერშეფასებული“ (ფსიქოლოგიური თვითგაგვიყების კლასიკური მაგალითი, ეს აზრი ასევე გადაიქცევა უნიკალურ წინასწარხედვად, რომელიც დამტკიცდება მხოლოდ ორივეს გარდაცვალების შემდეგ).

ბარაკი ორი წლით უმცროსია ფუკოზე. ის იყო შთამბეჭდავი, ნერვოზული მუსიკოსი, იყო ახლომხედველი და ატარებდა სათვალეებს. ბევრს სვამდა, მაგრამ მისი მოდერნისტული მუსიკა სავსეა სიწმინდითა და გარეგანი სიცხადით. ისიც ნიცშეს თავდადებული მიმდევარია. ფუკო და ბარაკი ერთმანეთისაკენ მიილტვიან, მალე შეუყვარდებთ კიდევ ერთმანეთი. დაძაბული ფილოსოფიური დისკუსიები, ალკოჰოლი, სადომაზოხისტური სექსი – ასეთი იყო მათი არანორმალური სიყვარულის მათრობელა ინგრედიენტები. ფუკო მთლიანადაა შეპყრობილი; ბარაკი თმობდა, მაგრამ მესაკუთრესავით ყველაფერსაც უკან ითხოვდა. ფუკოს ცხოვრება და აზრები გაერთიანდნენ. მუსიკა და ფილოსოფია ორივესათვის გაერთიანდა, ერთ მთლიანობად იქცა. ბარაკის სეკვენციაში ფუკოს თხოვნით მან ჩართო ნიცშეს ბაკარები: „ხომ არ უნდა გვძულდეს ერთმანეთი თუ მისჯილი გვაქვს ერთმანეთის სიყვარული ... მე ვარ შენი ლაბირინთი“. ნიცშესთან ჩახშული სექსუალობა ცოცხლობდა ფუკოსა და ბარაკში. ამავე დროს ეს მუსიკა წარმოუდგენელი წინასწარხედვაა ფუკოს ისტორიული და ფილოსოფიური ბედისა. იმ პერიოდის ბარაკის ნაწარმოებებიდან მეორე ნაწყვეტს ასე აღწერდნენ: „ესაა აგონიური სიდიადის ზღვარი, განვითარება დაუნდობელი ბოლოს ხდება და მუსიკა ვერ უძლებს არაადამიანურ დაძაბულობას, ირღვევა და ითქვიფება სიცარიელეში. ხმების მთელი ნაწილები იბნევა და იკარგება სიჩუმის ოკეანის სიძლიერეში“. ფუკო ხვდება, რომ ეს სწორია არა მხოლოდ მუსიკისათვის, ისტორიისთვისაც და ჭეშმარიტებისთვისაც, სიყვარულისთვისაც.

ვერავითარი ურთიერთობა ვერ გაუძლებდა ასეთ არანორმალურ დაძაბულობას. ბარაკის მესაკუთრული ჟინი გადაიზარდა პარანოიდურ ეჭვებში; ფუკოს თავისებური დამოუკიდებლობა სულს დაფავს. ორივე ხვდება, რომ მათი დამოკიდებულება სასმისისადმი აღარაა კონტროლირებადი. ერთი განსაკუთრებით ხმაურიანი კამათისა და ჩხუბის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ საჭიროა რაღაც პერიოდი ერთმანეთისაგან დასვენება.



## 5. ფუკო უპსალას (შვედეთის) უნივერსიტეტში

1955 წლის აგვისტოში ფუკომ მიიღო უმცროსი მასწავლებლის თანამდებობა სამხრეთ შვედეთის ქალაქ უსპალას უნივერსიტეტში. თუმცა დაპირდნენ რომ ერთმანეთს არ დაივიწყებდნენ მათი ურთიერთობა ვერ უძლებს ხანგრძლივ განშორებას., მათ ერთმანეთი დაივიწყეს. (ზარაკი კვლავ წერს მუსიკას, თუმცა წარსულის დიდება არ უბრუნდება. მისი ქცევები სულ უფრო ექსცენტრიკული ხდებოდა და 1973 წელს სასმელმა შეიწირა).

შვედეთში ფუკოს გარკვეული სიმშვიდე ელოდა, თავს ისე გრძნობდა თითქოს ქარიშხალს გადაურჩა. თანდათანობით დაკაცდა, უფრო გაიგო თავისი თავი, თუმცა ეს მშვიდი ოცდაათწლიანი მამაკაცი ჯერ კიდევ დიდი ამბიციების ტყვეობაშია. მან შეიძინა ბრწყინვალე „იაგუარი“, პარიზამდე ათასკილომეტრიანი მგზავრობებისათვის. დაიწყო გამელოტება, ატარებს თვალშისაცემ კუბოკრულ კოსტუმებს. ხანგრძლივ ზამთრის თვეებში ხშირად აწყობს წვეულებებს, გახდა ძალიან პოპულარული. მშვენიერი ფრანგული სამზარეულო აღმოჩენა იყო მისი სტუმრებისათვის, ასეთივე ეფექტი ქონდა ღვინოსა და განსაკუთრებით მის რაოდენობას. როდესაც მარტობა შეაწუხებდა, ჯდებოდა თავის მანქანაში და მიდიოდა პარტნიორების საძებნელად. შვედეთში ყველაფერი დამზებულკი იყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ესეც მოხერხდა. როგორც მან მოგვიანებით აღნიშნა, თავისუფლება შეიძლება ისეთი დამთრგუნავი აღმოჩნდეს, როგორც პირდაპირი აკრძალვა. ფუკო კითხულობდა ლექციებს ფრანგულ ლიტერატურაზე და მსმენელები იყვნენ სტუდენტი გოგონები. ჩვეულებრივ მან აირჩია საგნის საკმაოდ შეზღუდული ასპექტი „სიყვარულის კონცეფცია ფრანგულ ლიტერატურაში დაწყებული მარკიზ დე სადადან, ჟანა ჟენემდე“. ძნელი წარმოსადგენია თუ რა გაიგეს ჯანმრთელმა თვრამეტწლიანმა შვედმა გოგონებმა ამ სადიზმის, გარყვნილობისა და აღვირაზნის ისტორიის კურსიდან. ამავე დროს ფუკო სერიოზულად მუშაობს თავის სადოქტორო დისერტაციაზე, იკვლევს ფსიქოლოგიურ და სამედიცინო გადახრებს. სამწუხაროს ეს მიუღებელი აღმოჩნდა ძალზე ტოლერანტი შვედი პროფესორებისთვისაც კი და მათ უარი თქვეს იმ საბაბით, რომ „ნამეტანი ლიტერატურული“ იყო.

## 6. ფუკო: სიგიჟე და საზოგადოება

ფუკო მაინც მიყვებოდა თავის ინტუიციას. ნიცშესეული ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ისტორიისა და კლინიკური პრაქტიკის ძლიერმოქმედმა ხსნარმა მიიყვანა ფუკო ახალ სფეროსთან, რომელიც ვერ ჯდებოდა ჩვეულ აკადემიურ ჩარჩოებში.. ამ დროისათვის უკვე 33 წლის ფუკო ბრუნდება პარიზში, მთელი ძალაუფლება კონცენტრირებული აქვს მხოლოდ ერთ საგანზე. მან დაიწყო მუშაობა თავის „სიგიჟის ისტორიაზე“ (გამოქვეყნდება „სიგიჟე და საზოგადოება“-ს სახელით). ეს იყო პატივმოყვარული ჩანაფიქრი. წარმოესახა იმის ზუსტი სურათი თუ რა ხდებოდა წარსულში მისი ამოცანა არაა. სულაც პირიქით, მას სურდა მოეცა არსებულის სრული სურათი. (ისტორიას კი ის აღწერს როგორც „შებრუნებულ მეხსიერებას“). ის ცდილობდა ეჩვენებინა თუ როგორ იცვლებოდა თვით სიგიჟის ცნება საუკუნეების განმავლობაში და რას ნიშნავდა ეს. სიგიჟისადმი დამოკიდებულება \_ ესაა სოციალური აღქმისა და ადათ-წესების საკითხი. ფუკოს უნდოდა მოემბნა „ნულოვანი წერტილი“, სადაც სიგიჟე გამოცალკევებულია გონიერებისაგან. როდის იქნა ის პირვლად განსაზღვრული, რაგვარად გამოეყო გონებას და იქცა „გონ-ნაკლულად“.





შუასაუკუნეებში გიჟები ცხოვრობდნენ საზოგადოებაში. მათ წმინდანებად მიიჩნევდნენ. ფუკოს ანალიზით, ჰუმანიზმმა და აღორძინების ეპოქის შესწავლამ ზოგიერთი ცვლილებები შეიტანა ამ მიმართებაში. გიჟების „წმინდანობა“ შეიცვალა „სიბრძნის“ ჰუმანისტური კატეგორიით. ბრძენი სულელი ირონიულად ასახავს საზოგადოების ჟინს. შექსპირის მასხარების სიტყვებში სიმართლე ჩანდა. დონ კიხოტის სიგიჟე თუ შემლილობა კაცობრიობის შეზღუდულობას ასახავს.

აღორძინების ეპოქას მოყვება კლასიციზმის ეპოქა (ინგლისურენოვან ქვეყნებში უფრო ცნობილია გონების ერის(რაციონალიზმის) სახელით). შეიძლება ითქვას, რომ ეს ეპოქა დაიწყო დეკარტედან, რომელიც თანამედროვე ფილოსოფიის დამფუძნებელი და მამამთავარია. როგორც ცნობილია, დეკარტეს მიხედვით გონებამ ყველაფერში ეჭვი უნდა შეიტანოს, რათა მიაკვლიოს ჭეშმარიტების საფუძველს. როგორ შეიძლება რაიმეს ნამდვილი ცოდნა? იქნებ ჩემი შეგრძნებები მე მატყუებენ? იქნებ ეს სამყარო მხოლოდ სიზმარია, ჰალუცინაცია? იქნებ რომელიმე „ბოროტ გენიოსს“ შეუძლია შეცდომაში შემყვანოს თვით მათემატიკურ ჭეშმარიტებებთან მიმართებაშიც კი. არა, მე ზუსტად ვიცი, მხოლოდ, რომ მე ვაზროვნებ. „**Cogito ergo sum**“ („მე ვაზროვნებ, მაშასადამე, მე ვარსებობ“). ნიშანდობლივია, როგორც ფუკომ შენიშნა, რომ დეკარტის რადიკალური ეჭვი არ მივიდა საკუთარ გონივრულობაში დაეჭვებამდე. გონი უკვე გახდა უმაღლესი მმართველი და ამაში ეჭვი გამორიცხულია. (საინტერესოა, რომ არ იყო გონივრული მიზეზი გონის ზეობა შესაძლებლად ჩაეთვალათ, არაფერს ვამბობ მის აუცილებლობასა და გარდუვალობაზე). განსჯა გადაიქცა გონიერი მოღვაწობის ხელმძღვანელ პრინციპად და ამდენად აღმოჩნდა უგონობისაგან გამოყოფილი. ამ იდეებმა მალე შეისხა ხორცი პრაქტიკაში. დეკარტეს სიკვდილიდან ექვსი წლის შემდეგ პარიზში შემლილებისათვის გახსნეს საზოგადოებრივი ჰოსპიტალი, აქვე პატრონობდნენ მათხოვრებსა და დამნაშავეებს. ამბობდნენ, რომ ყოველი მესამე პარიზელი ახლა საგიჟეთი ცხოვრობდა.

შემლილობა, სიგიჟე განიხილებოდა როგორც გონივრულობის საწინააღმდეგო რამ და ფიზიკურად გამოაცალკევეს გონების სფეროდან. ასევე სიგიჟესთან ერთად ბევრი არაგონივრული ქცევა გაირიცხება გონიერის სფეროდან, საზოგადოებიდან. მალე მათხოვრებსა და უსაქმურებს შეუერთეს ჰომოსექსუალებიც, ლოთები და მაწანწალები. სულელებს უკვე აღარ ეძლევათ ჭეშმარიტებების ქადაგების შესაძლებლობა, აიძულებს გაჩუმება და გარიცხეს საზოგადოებიდან. რაც ყველაზე უარესია ის მალე გახდა, სხვებისათვის ჭკუისსასწავლებელი, დაცინვის ობიექტი. საგიჟეთში სტუმრობა და მის ბინადრებზე დაკვირვება და გართობა პოპულარულ დროსტარებად გადაიქცა. (ყოველწლიურად ასი ათასი ტურისტი მიდიოდა ლონდონის ბეტელემის საგიჟეთში. ამ სიტყვის დამახინჯებამ მოგვცა ჩვენ სიტყვა „ბედლაში“, ქართულად ალბათ „ბედოვლათი“. ამ დაწესებულების თავდაპირველი შენობა დღეს ეკუთვნის საიმპერატორო სამხედრო მუზეუმს). აღორძინებისა და განმანათლებლობას შორის ამ განსხვავებამ შემლილობა ცოდვად და დანაშაულად აქცია. მაგრამ როდესაც მოხდა შემლილობის, სიგიჟის დეფინიცია, განმარტება (და აყვანილ იქნა დასაცავად) ასევე განიმარტა და განისაზღვრა გონივრული ქცევა. საზოგადოების რაციონალური თეორია დაუახლოვდა შრომითი ეთიკისა და მორალური ვითარებების ცნებებს და გადაიქცა სამოქალაქო სამართლის ნაწილად. ამის შემდეგ ნებისმიერი ანომალურობა შემლილობად ითვლება. ამგვარად, ახალი ცოდნა გადაიქცა ახალ ძალად და ეს ორი ცნება (ცოდნა და ძალა) უწყვეტად დაუახლოვდა ერთმანეთს.

ფუკოს თეორიის თანახმად შემდეგ კიდევ მოხდა ერთი გახლეჩა. განმანათლებლობის ეპოქის დასასრულისათვის რეფორმატორები მივიდნენ დასკვნამდე, რომ გიჟების



კარჩაკეტილში, დამწყვედულად ყოლა სიმკაცრეა. სიგიჟე დანაშაული არაა, ესაა ავადმყოფობა, სენი და საჭიროა მისი განკურნება. ამის შემდეგ გიჟებს აღარ ამწყვედევდნენ, ისინი მოსავლელად გადასცეს ექიმებს, მედიცინას. მაგრამ, თუ სხეული გაანთავისუფლეს, გონება რჩება ტყვედ. ბორკილების ადგილი წამლებმა დაიკავა. XIX საუკუნის ბოლოს ფროიდმა ერთი საფეხურით წინ წაიწია. გიჟსა და შემლილს აღარ აიძულებდნენ ჩუმად ყოფნას, მათ მიეცათ საუბრის უფლება, ფსიქიატრის კაბინეტში. ეს თავისუფლებაც შეიცავდა შემდგომ შეზღუდვებს. შეიქმნა ფსიქიატრიის თეორია და ამ ახალმა სტრუქტურამ სავსებით დაუმორჩილა კლიენტი ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე ფსიქიატრს. ფუკო თვლის, რომ ამ პროცესებში აისახება ბურჟუაზიული საზოგადოების ავტორიტარული ხასიათი.

მაშასადამე, შემლილობა განისაზღვრება ფსიქიატრიის მიერ. გონიერება გაიგივდა ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობასთან. აქედან დაწყებული, როგორც ჩანს, თვით სიტყვა გონივრული იწყებს თავისი მნიშვნელობის შეცვლას, რათა შეეწყოს სიგიჟის ახალ განსაზღვრებას. უჩვენებდა რა თუ როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში სიგიჟე, ფუკო ცდილობდა გაენთავისუფლებინა მისგან წარმოებული შეზღუდულობა. სიგიჟის ერთადერთი გამოსავალია თავი დააღწიოს გონების განუსაზღვრელ ძალაუფლებას – იარსებოს თავისთვის. მაგრამ როგორ? ამის გაკეთება შეეძლო მხოლოდ ზოგიერთ ფილოსოფოსსა და მხატვრებს, რომელთა ექსცენტრულობა სცილდებოდა გონივრულობის საზღვრებს. მაგალითებად ფუკოს მოყავდა ვან გოგი, დე სადი და არტო. უფრო იშვიათად და მოკრძალებით იხსენებს ნიცშეს, რომელიც მართლაც, რომ შემლილობამ გასწირა სიჩუმისათვის. ფუკო მაინც მართალია ნიცშესთან მიმართებაში: „საკუთარ თავში ქაოსი უნდა ატარო, თუ გასურს შვა მოცეკვავე ვარსკვლავი“. ეს მხატვრები და ფილოსოფოსები სიგიჟეს ავლენდნენ საკუთარ „თავში“, აყენებდნენ რა ყველაფერს თავდაყირა. მათ ნაშრომებთან ურთიერთობაში გონება იძულებულია დაიცვას საკუთარი თავი! ამ გზით ხელოვნება და წარმოსახვა ცვლიან და აფართოებენ ზოგად შეხედულებებს გონებაზე (ვან გოგის „ვარსკვლავიანი ღამე“ თავად მეტყველებს საკუთარ თავზე).

შემთხვევითი არაა რომ სწორედ ამ პერიოდში შოტლანდიელმა ფსიქიატრმა რ.დ.ლეინგმა სიგიჟის შესწავლაში გააკეთა მნიშვნელოვანი პრაქტიკული აღმოჩენა. მისი თეორიის თანახმად – შიზოფრენიკის თავიდან გაუგებარი და წინააღმდეგობრივი მეტყველება – ეს არის რთული ჭეშმარიტების გნომიკური (მცირე ზომით) გამოხატვა, რომელსაც პაციენტი სხვაგვარად ვერ ახერხებს. შიზოფრენია ხშირად გამოწვეულია რთული, წინააღმდეგობრივი სიტუაციით, რომელშიც მოექცა პაციენტი (ასე მაგალითად, მშობლების ჩხუბი დაბნეული შვილისათვის ქმნის დანაწილებულ ანუ შიზოიდურ რეალობას).

წიგნში „სიგიჟე და საზოგადოება“ ფუკო აჩვენებს, რომ ჩვენმა წარმოდგენებმა შემლილობაზე განიცადა მკვეთრი, მაგრამ ამავე დროს, აბსოლუტურად შემთხვევითი ცვლილებები. მათ არ ედოთ საფუძვლად განვითარების ლოგიკა ან აუცილებლობა. ისინი თავად იყვნენ დაუსაბუთებელი და დაუფუძნებელი! ცოდნის სტრუქტურაში აღნიშნულ ცვლილებებს თან სდევს მნიშვნელოვანი ცვლილებები ძალის სტრუქტურაში (თავისუფლება, დამწყვედევა, მკურნალობა). ეს არაა ერთეული შემთხვევა, ასე თვლის ფუკო. ცოდნის ნებისმიერი ახალი სისტემის გამოჩენა ყოველთვის დაკავშირებულია ძალის ცვლილებასთან. ფსიქოლოგია და პაციენტის როლი – ეს მხოლოდ ერთი მაგალითია. ეკონომიკა, სოციოლოგია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიც კი ექვემდებარებიან ამავე პრინციპებს: ცოდნის ამ სისტემის აღმოცენებასა და განვითარებას ყოველთვის თან სდევს მნიშვნელოვანი ცვლილებები ძალის სტრუქტურაში.



1960 წელს, როდესაც გამოჩნდა ფუკოს „სიგიჟე და საზოგადოება“, ფუკო იქცა პარიზის მთავარ ინტელექტუალურ ფიგურად. ფრანგული ინტელექტუალური მოდა – ბაზარია, სადაც ბატონობს მკაცრი კონკურენცია, თან ძალიან ცვალებადი. ინტელექტუალების ძველი გვარდია გაფერმკრთალდა. სარტრი და ეგზისტენციალიზმი, სტრუქტურალიზმი და გვიანდელი მარქსიზმის თემაზე უსასრულო ვარიაციები ერთბაშად მივიწყებულ იქნა. მოდაში შემოდის დერიდა და დეკონსტრუქციონიზმი, ბარტი და სემიოტიკა, ახლა კი ფუკოც დაემატა. ფუკო კარგად იცნობდა დერიდასა და ბარტს: სენის მარცხენა სანაპირო – პატარა რაიონია და ყველა კაფე ინტელექტუალური საუბრების ადგილია – კარგადაა ცნობილი პარიზში. მაგრამ ფუკოს ურთიერთობა ახალ ნაცნობებთან ყოველთვის რთულია. თუმცა ფუკოს ფილოსოფია რაღაცით გავს დერიდასა და ბარტის თეორიას, მათ შორი განსხვავებამ მალევე იჩინა თავი.

ამ დროისათვის გარდაიცვალა ფუკოს მამა, მემკვიდრეობით მიღებული თანხით, პერსპექტიულმა, ოცდაათოთხმეტი წლის ფილოსოფოსმა შეიძინა ბინა, ფინლის ქუჩაზე, ესაა სენის სანაპირო, კლასიკური ხედით (ეს სახელი ქუჩას ეწოდა ფრანკო-შოტლანდიური წარმოშობის კუბელი ექიმის პატივსაცემად, რომელმაც XIX საუკუნეში აღმოაჩინა, რომ ძალარის გამავრცელებელი და გადამტანია კოლო).

ფუკოს ნაცნობების წრეს ზრდის ტენდენცია ყოველთვის ახასიათებდა. ახლახან გაიცნო ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი დანიელ დეფერი, რომელიც მასზე ათი წლით უმცროსია და რომელიც აქტიურად იცავს მემარცხენე პოლიტიკურ მოძრაობას. ფუკო და დეფერი მკაცრად და უარყოფითად აფასებენ საფრანგეთის მონაწილეობას მკაცრ კოლონიალურ ომში ალჟირის წინააღმდეგ. მაგრამ მათი პოლიტიკური შეხედულებები განსხვავდებოდა. ფუკოს არ შეეძლო დათანხმებოდა დეფერის ახალგაზრდულ ექსტრემიზმს: დეფერი ამტკიცებდა, რომ დე გოლის მთავრობა აყალიბებს ფაშისტურ სახელმწიფოს. დეფერი ჰომოსექსუალისტია, თან მიმზიდველი ახალგაზრდაა. ფუკოს ასევე იზიდავს დეფერის ვნებიანი პოლიტიკური აქტივობა. ისინი მალე დამეგობრდებიან, ორივესათვის ეს იყო უფრო მეტი, ვიდრე მორიგი გატაცება. დეფერი საცხოვრებლად გადადის ფუკოსთან, მათი ურთიერთობა ოცდახუთი წელი გაგრძელდება. დავისა და ჩხუბის პერიოდული აფეთქებები ვითარებას ვერ ცვლიდა, დროდადრო სხვა პარტნიორებსაც ეძებდნენ, რაც ასევე ჩხუბის საბაზი იყო. დეფერი ამბობდა, რომ ფუკო დაბადებულია ნორმალური ოჯახური ცხოვრებისათვის და ისინი ყოველთვის იცავდნენ ერთმანეთს, ცრურწმენებისა და არამოდური შეხედულებებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთმა შეუქმნა თავის თავს სიყვარულის ქვეყნის რეპუტაცია, ის ყოველთვის იყო კათოლიკური ქვეყანა, სადაც ბატონობდა ჰომოფობია, განსაკუთრებით აკადემიურ წრეებში.

**7. ფუკო – „კლინიკის დაბადება: მედიცინის არქეოლოგია“**

1963 წელს ფუკომ გამოაქვეყნა „კლინიკის დაბადება: მედიცინის არქეოლოგია“. ეს ნაშრომი ფუკოს უჩვეულო სიბეჯითის მაგალითია: ფუკო ყოველდღიურად დიდ დროს უთმობდა თავის „არქეოლოგიას“, ეროვნულ ბიბლიოთეკაში იკვლევდა შესაბამის დოკუმენტებს. (ფუკო აცხადებდა, რომ (ალბათ ცოტა მეტი მოუვიდა) მან წაიკითხა ყველა წიგნი კლინიკური მედიცინის საკითხებზე გამოცემული 1820 წლიდან დღემდე). ამ ნაშრომში ის აჩვენებს, რომ XIX საუკუნის დასაწყისში კვლავ მოხდა მორიგი გახლეჩა მეცნიერულ ცოდნაში. კლასიკური მედიცინა შეიცვალა კლინიკურით. ადრე მიზანი იყო სენის განკურნება და ჯანმრთელობის აღდგენა. ახლა კი საექიმო მკურნალობის ობიექტია თვით სნეულის სხეული, და მედიცინის მიზანი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ბუნდოვანი, მაგრამ



თავისთავად გასაგები სიტყვა „ჯანმრთელობა“ შეიცვალა მიზნით დაებრუნებინა პაციენტი „უკან ნორმალურ მდგომარეობაში“ (ეს თეორია იყენებს ასეთ ცნებებს: „ნორმალური ტემპერატურა“, „ნორმალური პულსი“ და ა.შ.). კლინიკის გაჩენით მედიცინა გადაიქცა მეცნიერებად, ჩააყენა რა ის სხვა განვითარებადი მეცნიერებების რიგში, რგორებიცაა ანატომია, ფსიქოლოგია, ქიმია და ბიოლოგია. დაიკავა რა კუთვნილი ადგილი საზოგადოების სხვა ინსტიტუტებს შორის, მედიცინა აღმოჩნდა დაკავშირებული პოლიტიკურ და სოციალურ სტრუქტურებთან. „ნორმალური“ ცნებამ (ჯანმრთელობის გარდა) თანდათანობით, მაგრამ აუცილებლობით შეიძინა პოლიტიკური და სოციალური შეფერილობა. აქ ფუკო გაავლებს პარალელს „სიგიჟესა და საზოგადოებასთან“, სადაც მან აჩვენა თუ როგორ იქნა სიგიჟე (კიდევ ერთი საპირისპირო ცნება მეცნიერულად განსაზღვრული და სოციალურად მისაღები „ნორმალურისა“) იზოლირებული საგიჟეთში, გიჟების სახლში. ამგვარი სახით მედიცინაში ჩნდება კლინიკა. აქ ფუკო კვლავ აქცევს ყურადღებას ცვლილებებს ძალაუფლების სტრუქტურებში, რასაც ადგილი ქონდა ცოდნის განვითარებაში ნახტომის პარალელურად.

ფუკომ არა მხოლოდ შეავსო ჩვენს სოციალურ თვითშემეცნებაში არსებული მორიგი სიცარიელე, არამედ დააკავშირა კიდევ მისი ისტორია თვით დინამიურად განვითარებად საზოგადოებასთან. მან შორსმჭვრეტელურად შენიშნა, რომ ისტორია სავსეა ხვრელებით, როგორც გრიუერის ყველი. მართლაც, თითქოს ისე ჩანდა, რომ ყველაფრის ისტორია, რამაც სიცოცხლე და სინათლე არგუნა ადამიანის არსებას, გამოუკვლეველია. ისტორია სიყვარულისა, სიხარბისა, სიმკაცრისა, დასჯისა და მსგავსი ცნებებისა საერთოდ არ არსებობდა. რისი იმედი უნდა გქონდეს ჩაწვდე ცვლილებების არსს ძალაუფლების და საზოგადოების სტრუქტურებში თუ არ შეისწავლი ასეთ მნიშვნელოვან ასპექტებს.

## 8. ფუკო: ეპისტემეს \_ დისკურსის ცნება.

1964\_1965 წლებში ფუკომ დაასრულა მთავარი ნაშრომი, რომელმაც მის იდეებს პოპულარობა მოუტანა მთელს დასავლეთში. წიგნს „საგანთა წესრიგი: ადამიანური არქეოლოგია“, უნდა ეჩვენებინა თუ როგორ ვითარდებოდა კაცობრიობის ცნება და როგორ გახდა ის ჩვენი შემეცნების ობიექტი.

თავიდან აუცილებელია განისაზღვროს ცენტრალური ტერმინები, რომლებსაც იყენებს ფუკო თავის გამოკვლევაში. როდესაც ის ლაპარაკობს „არქეოლოგიის“ შესახებ, მას მხედველობაში აქვს გარკვეული ისტორიული პერიოდის ცოდნისათვის დამახასიათებელი ფარული სტრუქტურების დადგენა. ის ხშირად შედგება ქვეცნობიერი ვარაუდებისა და ცრურწმენებისაგან ან წინასწარაკვიატებული იდეებისაგან, რომლებსაც სისტემაში მოყავთ და საზღვრებს მიუჩენენ ნებისმიერი ეპოქის აზრს. ისინი არსებითად განსხვავდებიან სუბიექტური წინასწარგანზრახვებისა და კოლექტიური მცდარობებისაგან: ეს არის აზროვნების რაღაც მოდელი, რომელიც ცალ\_ცალკე ახასიათებს მოცემული დროის ყველა მოაზროვნეს. მაგალითად, ჯერ ითვლებოდა, რომ დედამიწა არის სამყაროს ცენტრი, შეუძლებელი იყო ვარაუდიც კი, რომ არსებობენ პლანეტების ელიპტიკური ორბიტები. ამგვარადვე, როგორც ფუკომ დაამტკიცა, „გონის“ ცნების გარეშე ვერ იარსებობდა „შემოქმედების“, „გიჟობის“ ცნებები.

აზროვნების ტიპებს, ცრურწმენებს, ვარაუდებს, რომლებიც ქმნიან და ზღვარს უდებენ ნებისმიერი კონკრეტული ეპოქის აზრებს, ფუკომ დაარქვა „ეპისტემა“. ამ სიტყვას იგივე ბერძნული ფესვი აქვს, როგორც „ეპისტემოლოგიას \_ ფილოსოფიის იმ ნაწილს, რომელიც შეისწავლის ჩვენი ცოდნის საფუძვლებს. (განვიხილოთ მაგალითად მიზეზ\_შედეგობრივი



კავშირი. ჩვენ ვაფუძნებთ ჩვენს ცოდნას იმ წანამძღვარზე, რომ ფიზიკური სამყარო ექვემდებარება ამ კანონს. გარკვეულ მიზეზს ყოველთვის მივყევართ გარკვეულ შედეგამდე. თუ ეს ასე არ ხდება, ჩვენ ავტომატურად ვგულისხმობთ, რომ თავდაპირველმა მიზეზმა განიცადა გარკვეული ცვლილება. ამგვარად, მიზეზ\_შედეგობრივი კავშირი თავისთავად არ წარმოადგენს ცოდნას, არამედ არის გარკვეული წანამძღვრი, რომელსაც ცოდნა ეფუძნება). ფუკოს ეპისტემა არის ასეთი ვარაუდების მთელი სისტემა: რომელიმე ისტორიული ეპოქისათვის დამახასიათებელი აზროვნების გარკვეული ტიპი. ეპისტემა განსაზღვრავს ცოდნის საზღვრებს და ამ ეპოქისათვის თვით ჭეშმარიტების ცნებასაც. ყოველი ეპისტემა გარდუვალად ქმნის ცოდნის გარკვეულ სისტემას. ამ სისტემას ფუკომ დაარქვა დისკურსი. ამ ცნების ქვეშ იგულისხმება გარკვეული ეპისტემის მიერ შექმნილი კონცეფციების, პრაქტიკის, დებულებების და მრწამსის ერთიანობა.

ეპისტემის „აპრიორულ ისტორიულ ბუნებას“ ფუკო გვიჩვენებს „საგანთა წესრიგის . .“ შესავალში. აქ მას მოყავს ციტატა ძველი ჩინური ენციკლოპედიიდან (რომელიც აღწერილია არგენტინელი მწერლის ხორხე ლუის ბორხესის მოთხრობაში). ამ ენციკლოპედიაში ყველა ცნობილი ცხოველი დაყოფილია სხვადასხვა ჯგუფებად საკმაოდ საინტერესო კლასიფიკაციით: ისინი იყოფიან „იმპერატორის კუთვნილებად“, „მოთვინიერებულებად“, „ბალზიმირებულებად“ და ა.შ. ეს კლასიფიკაცია ჩვენ შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ ის ასევე ამტკიცებს, რომ ჩვენი საკუთარი კლასიფიკაცია შეიძლება არც გამოდგეს უფრო ლოგიკური. ისიც ასევე პირობითია: ესაა სისტემა, რომელიც შექმნილია ჩვენი კონკრეტული კულტურული წანამძღვრების (ეპისტემა) შესაბამისად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მიკუთვნებულობა გარკვეული სახისადმი, გვარისადმი ან ბიოლოგიური ნათესაობა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ის, თუ ვის ეკუთვნის ცხოველი. (იქნებ ჩვენ სხვა აზრი გვექნებოდა, თუ იმპერატორის ცხოველთან მიკარება დასაჭურისებით დაგვემუქრებოდა, როგორც ეს იყო ძველ ჩინეთში). ბორხესის მოთხრობა გვიჩვენებს, რომ კლასიფიკაციის ნებისმიერი სისტემა ყოველთვის რაიმე საზღვრებშია მოქცეული ანუ აქვს თავისი საზღვრები. სადა არის ჩვენი ეპისტემის საზღვარი? ჩვენ ეს კითხვა ჩვენს თავს უნდა დავუსვათ.

ფუკოს არ შეუწყვეტია ამ საკითხის კვლევა, სოციალურ მეცნიერებებში ატარებდა „არქეოლოგიურ გათხრებს“. ის იწყებს რენესანსის ეპისტემით. სამწუხაროს რენესანსი მან საკმაოდ მოკრძალებულად და თითქოს წინასწარაკვიატებული იდეებით დაახასიათა. მისი აზრით აღორძინების ეპისტემა ეფუძნებოდა მსგავსებებს: „ანალოგიურობას“ და „შესაბამისობას“. ის ამას აჩვენებს ე.წ. „სახასიათო თვისებების თეორიით“ აღწერით, რაც მართლაც ტიპიური იყო რენესანსის ეპოქის აზროვნებისათვის. ამ თეორიის თანახმად, ღმერთი მიუთითებს საგანთა ნათესაობაზე, ანიჭებს რა მათ მსგავსებებს (ან სახაიათი თვისებებს, ნიშნებს). მაგალითად, ორქიდეა ძალიან გავს კვერცხს. ეს ნიშნავს, რომ მისი გამოყენება შეიძლება ვენერიული დაავადებებისაგან განსაკურნავად. ამგვარადვე, ქრისტესისხლას ყვითელი ყვავილი გამოიყენებოდა სიყვითლის სამკურნალოდ. აღორძინების ეპოქის მოაზროვნებისათვის სამყარო იყო გადაშლილი წიგნი, რომელსაც „წაკითხვა“ სჭირდება. ქვაკუთხედად ითვლებოდა მეტაფორული მნიშვნელობები და მათი ინტერპრეტაცია და არა დაკვირვება და ექსპერიმენტი.

ნამდვილად ასე მიმდინარეობდა მედიცინაში და ჩამოყალიბების სტადიაში მყოფ ქიმიკში (რომელიც გადაჯაჭვულია ალქიმიასთან). მაგრამ ამას ვერ იტყობდი ასტრონომიასა და ბიოლოგიაზე (რომელთა განვითარების ჩქარი ტემპები განაპირობა ტელესკოპისა და მიკროსკოპის გამოგონებამ), ანატომიასა და ფიზიკაზე. ფუკოს მოყავს ციტატები აღორძინების ეპოქის ზოგიერთი მოაზროვნის – მედიცინის დამწყების პარაცელსის, მათემატიკოს კარდანოს, ფილოსოფოს კამპანელას ნაშრომებიდან. მაგრამ მიუხედავად



იმისა, რომ პარაცელსი იყო ბრწყინვალე ექიმი, ის ჩაფლული იყო ალქიმიაში, ისევე, როგორც კარდანო იყო ასტროლოგი, ხოლო კამპანელა – უტოპისტი ფილოსოფოსი. აღორძინების უზარმაზარი და ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოღვაწეები იგნორირებულნი იყვნენ. სიტყვა არ იყო დამრული კოპერნიკზე, გალილეოზე ან ჰარვეზე (რომლის მიერ აღმოჩენილმა კანონმა სისხლის ცირკულაციის შესახებ დავიწყებას მისცა შუასაუკუნეების მითები, მაგალითად „სახასიათო თვისებების თეორია“).

ფუკოს ეპისტემის თეორია ნამდვილად მნიშვნელოვანია, მაგრამ მის ხელში მას ზედმეტი სქემატურობა ახასიათებს. რენესანსის ეპოქას არა ერთი, არამედ რამდენიმე ეპისტემა ახასიათებს: კოპერნიკმა აღმოაჩინა მზის სისტემის არსებობა, მაგრამ თავისი აღმოჩენის დასასაბუთებლად იშველიებდა ალქიმიკოსი ჰერმეს ტრიმეგისტის ავტორიტეტს. ერთი ეპისტემიდან მეორეზე გადასვლა ბევრად უფრო ძნელი აღმოჩნდა ვიდრე ფუკო ვარაუდობდა.

მაგრამ ამ შემთხვევაში ფუკოს ნაშრომის ძირითადი იდეა უდავოა. აღორძინების ეპისტემა შეიცვალა კლასიკურით (ან განმანათლებლობის ეპისტემით). აზრი მიუბრუნდა განსხვავების იდეას, უარი თქვა მსგავსების იდეაზე. ანალიზმა გზა მისცა გაზომვასა და ექსპერიმენტს. გონებამ დაადგინა განსხვავება. შედეგად აღმოჩნდა, რომ ქიმიური ნივთიერება შედგება ცალკეული ელემენტებისაგან ან მათი კომბინაციებისაგან, მცენარეები და ცხოველები დაჯგუფდნენ სახეებად, ოქრო პივლად გადაიქცა ეროვნული სიმდიდრის საზომად.

ცოდნა უკვე აღარ იყო საიდუმლოებებით მოცული, აღარ წარმოადგენდა რჩეულთა პრივილეგიას. ეს არის შედეგი მეცნიერული დაკვირვებისა, რაც ყველასათვის ღიაა. მაგრამ ამ ეპისტემას, დაფუძნებულს ცოდნასა და დაკვირვებაზე ქონდა საინტერესო (გვერდითი ან თანმყოლი) ეფექტი. სამყაროს სურათის მეცნიერული გზით წვდომის მცდელობისას დაიკარგა (განადგურდა) უშუალოდ შემმეცნებელი სუბიექტი (დამკვირვებელი). მეცნიერულ გამოკვლევაში ადამიანისათვის არ დარჩა ადგილი.

XIX საუკუნის დადგომით ესეც შეიცვალა. კაცობრიობის შესწავლა დაიწყეს, როგორც ისტორიის სუბიექტისა. ისეთი განსხვავებული მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ დარვინი, ჰეგელი, მარქსი – კაცობრიობას უკვე განიხილავენ მის ისტორიულ განვითარებაში. აზროვნების ეს ტიპი შენარჩუნებულ იქნა თვით XX საუკუნემდე. ამ ეპისტემის გავლენა ცენტრალური იყო ეგზისტენციალიზმისათვის (სარტრის), რომელმაც „არსებობა არსებაზე ადრე გამოაცხადა“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი თავის თავს ქმნის თავისი არსებობით, და არ ღებულობს მას დაბადებისთანავე. ბიოლოგიაში ადამიანი გადაიქცა ანთროპოლოგიური კვლევის ობიექტად; ეკონომიკაში სიმდიდრე იზომებოდა შრომითი მაჩვენებლებით, და არა უსიცოცხლო ოქროს რაოდენობით. გონიერმა ადამიანმა სიღრმე შეიძინა და გახდა ფსიქოლოგიის შესწავლის ობიექტი. მაგრამ, როგორც ფუკო ამბობდა, ეს წესრიგი დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა: „VIII საუკუნის დასასრულამდე ადამიანი არ არსებობდა. როგორც ადვილად აჩვენებს აზრის არქეოლოგია, ადამიანი – ეს ახლო წარსულის აღმოჩენაა და შეიძლება, მისი ბოლო მალევე დადგეს.“

რა თქმა უნდა, ფუკო კვლავ რამდენადმე ამარტივებს სურათს. მისი გამოკვლევა, რომელიც მხოლოდ დოკუმენტების შესწავლით შემოიფარგლებოდა ხშირად სიზუსტით სცოდავს. ფუკოს ბრწყინვალე იდეის მიუხედავად, ზოგადო სურათი საკმაოდ ფრაგმენტარული იყო. მისი თეორიის ცალკეული დებულებები სანიმუშოა, მაგრამ ხშირად ნამეტანი ზოგადი. უბრალოდ, არ არის სწორი, რომ „ადამიანის“ (ან კაცობრიობის ცნება) XVIII საუკუნის ბოლომდე არ არსებობდა, როგორც კვლევის, დაკვირვებისა და ფილოსოფიური განაზრებების ობიექტი. მაგალითების მოყვანა ადვილია“ დაწყებული იმ კითხვით,



რომელსაც აცახცახებული მომაკვდავი უსვამს საკუთარ თავს და დამთავრებული პლატონის უშედეგო ცდით მოეცა ადამიანის ლოგიკური, დამთავრებული განსაზღვრება. (ცნობილი „ორფენა ცხოველი ფრთების გარეშე“, რამაც აიძულა პლატონის ყველაზე უზრდელი სტუდენტი აკადემიის კედელზე ჩამოეკიდა გაპუტული მამალი). რა თქმა უნდა, შექსპირი წიგნიც სავსეა მსგავსი განაზრებებით, დაწყებული ჰამლეტის უსასრულო განაზრებებიდან და დამთავრებული შემდეგი ბჭვარებით: „...ამაყობს ადამიანი რომ განწირულია. წამიერი, მოკლევადიანი სიდიადით და ისეა დარწმუნებული, რომ არც ახსოვს, რომ მყისია ის ზეცის წინაშე“.

ფუკოს შეუძლია შეგვედავოს, რომ ლიტერატურა არ არის მისი მეცნიერების არქეოლოგიის ნაწილი. მაგრამ ფსიქოლოგიური გამჭრიახობა ყოველთვის გააღწევს ლიტერატურის საზღვრებს და გადაიქცევა მეცნიერებისა და ფილოსოფიის ნაწილად.

მაგრამ დიდი გავლენა აქვს ფუკოს დებულებას, რომ კაცობრიობის „ახლო წარსულში“ აღმოჩენილი ცნება მალე შეწყვეტს არსებობას. იმის კვალდაკვალ თუ როგორ ვითარდება ჩვენი ცოდნა Dენკ-ს შესახებ, ვითარდება საინჟინრო გენეტიკა, კაცობრიობის ცნება შეიძლება მალე ზედმეტი გახდეს. ღირებულებათა სისტემის აბსოლუტური გადახალისება – ეს ჯერ მომავლის საკითხია. მაგრამ პროგრესული ცვლილებები (განსაკუთრებით ექსპერიმენტები ჯერ მიუკვლეველ გენებზე) უკვე იწყებენ ჩვენი წარმოდგენების რღვევას ადამიანზე და იმაზე თუ რას ნიშნავს იყო ადამიანი.

### 9.მიშელ ფუკო და თომას კუნი: დისკურსი და პარადიგმა

იმ დროისათვის როდესაც ფუკომ დაიწყო თავისი ეპისტემის თეორიის განვითარება, ატლანტიკის ოკეანის მეორე სანაპიროზე ამერიკელი მეცნიერი თომას კუნი მივიდა საკვირველად მსგავს ცნებამდე – პარადიგმამდე. ფუკოს ეპისტემა აღმოცენდა სოციალურ მეცნიერებების ფართო კულტურულ ველზე „არქეოლოგიური გამოკვლევების“ შემდეგ, კუნის პარადიგმა კი ეხება უშუალოდ მეცნიერებას, ვიწრო გაგებით. „პარადიგმის ცვლა“ ნიშნავს მეცნიერულ ცოდნაში დიდ, რადიკალურ გარღვევას. ასეთი გარღვევების ავტორებია – კოპერნიკი, ნიუტონი და ეინშტეინი. ამ აღმოჩენების შემდეგ (ცალ-ცალკე) სამყაროს ჩვენისეული ხედვა უკვე ვეღარ რჩება წინანდელი ხედვის საზღვრებში. ამ მეცნიერთაგან ყოველმა შექმნა აზროვნების ახალი ტიპი, რომელიც ასევე მოდელურია მომავალი გამოკვლევებისათვის. აინშტეინის აღმოჩენის შემდეგ დრო და სიცრცე (ანალოგიურად – მატერია და ენერჯია) უკვე აღარ (შეუძლებელია) განიხილებიან აბსოლუტურ სიდიდეებად: მათ „შეიძინეს“ ფარდობითობა.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთ თეორიას აქვს მოულოდნელი საპირისპირო ეფექტი. ფუკოსა და კუნის პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ მათ უარი განაცხადეს აბსოლუტური ჭეშმარიტების ცნებაზე. თუ აზროვნების ჩვენი ტიპი ყოველთვის შეზღუდულია რაღაც ეპისტემით (ან პარადიგმით), ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვერასოდეს ვერ მივალთ ჭეშმარიტებამდე. ამგვარადვე, თუ ყველა ეს ეპისტემა პირობითია, როგორ მივაკუთვნოთ უპირატესობა რომელიმეს? ვერანაირად. ამგვარად, ყოველი ჭეშმარიტება ფარდობითია; ის დამოკიდებულია მხოლოდ ადამიანის მსოფლმხედველობაზე. მაგრამ, ამ მარტივმა კრიტიკამ ვერანაირი ზიანი ვერ მიაყენა ვერც ფუკოსა და ვერც კუნის თეორიას. საქმე იმაშია, რომ ერთი ეპისტემა (ან პარადიგმა) შეიძლება უფრო სასარგებლო აღმოჩნდეს (ან უფრო ნაყოფიერი, თეორიული თვალსაზრისით), ვიდრე მეორე. ის იძლევა შესაძლებლობას უფრო ახლოს მივიდეთ სამყაროს მიუწვდომელ სურათთან, ანუ „აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან“. ამ ქვეყნად რაღაცეები ნამდვილად ხდება, მაგრამ ადამიანს ძალუძს



აღიქვას ამ მოვლენების მხოლოდ ცალკეული შედეგები. რწმენა ჩვენი შესაძლებლობებისა აღმოვაჩინოთ აბსოლუტური ჭეშმარიტება, ბადებს იმედს, რომ ჩვენი გრძნობები (რაც ხელსაწყოები, როგორც მათი გაძლიერება), წარმოადგენენ სინამდვილის აბსოლუტურ საზომს.

მაგრამ ჩვენი თვალები ანსხვავებენ სინათლის სპექტრის მხოლოდ გარკვეულ დიაპაზონს (ულტრაიისფერიდან\_ინფრაწითელის ფარგლებში). როგორ დავრწმუნდეთ ჩვენ იმაში, რომ ადამიანის მიერ შექმნილი ხელსაწყოები, რომლებიც მხოლოდ ზრდიან ჩვენს შეგრძნებებს, არ არიან ასევე შეზღუდულები? შეგვიძლია ჩვენ ვამტკიცოთ, რომ ის რასაც ჩვენ ვიზუალურად აღვიქვამთ, როგორც „წითელ ფერს“, მართლაც მთლიანად შეესატყვისება 7X10X15სმ. სიგრძის ტალღის ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას? მაგრამ,  $2 \times 2 = 4$  ნამდვილად არის აბსოლუტური ჭეშმარიტება? შეიძლება, მაგრამ როგორც ეინშტეინი ამბობს: „სანამ მათემატიკის წესები ეთანხმებიან რეალობას, ისინი უზუსტონი არიან, ხოლო, თუ ისინი ზუსტია, მაშინ რეალობასთან მიმართებაში არ გამოგვადგებიან“. კუნის პარადიგმა მოქმედებს სწორედ ამ ინტერვალში. ზუსტად ასევე ფუკოს ეპისტემაც – მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის გამოიყენება კულტურის სფეროში, რომელიც უფრო ფართოა, მაგრამ ნაკლებად ზუსტი.

1964 წელს დეფერი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, მაგრამ მან მეორე, ნებაყოფლობითი არჩევანი გააკეთა და ის მასწავლებლად მიავლინეს ტუნისში. დიდი ხნით განშორება არ უნდოდა და ფუკოც მალე გაემგზავრა ტუნისში, სადაც უნივერსიტეტში დაიკავებს შტატგარეშე პროფესორის თანამდებობას. მალე შეეჩვია ხმელთაშუაზღვისათვის დამახასიათებელ ზომიერი ცხოვრების წესს, დასახლდა სადი-ბუ-საიდში, ფრანგი მხატვრების დასახლებაში, გადაკეთებულ საჯინიბოში. ფუკოს გაუჩნდა შესაძლებლობა დამტბარიყო ორი საუკეთესო – ფრანგული და ტუნისური სამზარეულოთი, ღვინოთი და მარიხუანათი, შავგვრემან არაბებთან ინტელექტუალური დისკუსიებით კაფე-ბარებში. უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა ნიცშეს ფილოსოფიაზე და აგრძელებდა მუშაობას თანამედროვე ეპისტემის კულტურულ ასპექტებზე.

ზოგიერთი კრიტიკოსი ფუკოს უყურებს, როგორც „ახალ კანტს“. ისინი მისი ეპისტემის თეორიას ადარებდნენ კანტის მიერ XVIII საუკუნის დასასრულს შემუშავებულ „სინთეზურ\_აპრიორული“ მსჯელობის ცნებას. მარტივად, კანტი ამტკიცებდა, რომ ადამიანს არ შეუძლია სამყაროს შეხედოს სხვაგვარად თუ არა „დრო და სივრცის“ პრიზმაში გარდატეხილს. ფუკოს თეორემა, რომ აზრი დაკავშირებულია ეპისტემასთან, აუცილებლად შეზღუდულია და სტრუქტურირებული, უხერხულობას იწვევს. გავს კანტის იდეას. ფუკოს შემდგომი შეხედულებების შედარება კანტის ფილოსოფიური სისტემის კათედრალურ სიდიადესთან. ფუკოს თავიდან კიდევ მოსწონდა ეს შედარებები, მაგრამ ბოლოს უკვე აღიზიანებდა.

ფუკოს ცხოვრება, როგორც დევნილობაში („ლე მონდს“ ყოველდღე იღებდა) მყოფი ცნობილი ფილოსოფოსისა, მალე დაირღვა. 1966 წლის დეკემბერში ტუნისის სტუდენტები ატარებენ დემონსტრაციებს ჰაბიბ ბუგრიბის მზარდი რეპრესიების წინააღმდეგ. დეფერის დაჟინებით ფუკო აქტიურად უჭერს მხარს სტუდენტებს. პირვლად თავის სიცოცხლეში ფუკო „მთელი არსებით ჩაეფლო პოლიტიკაში“. ერთხელ დაშავდა კიდევ პოლიციასთან შეჯახებისას, შემდეგ საკუთარ სახლში მალავდა ძებნილ სტუდენტებს.

ფუკოს ტუნისში ყოფნისას, 1968 წელს პარიზში ადგილი ქონდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს. მათში სტუდენტებმა აიღეს მთელი მარცხენა სანაპირო, ქალაქში სიცოცხლე ფაქტობრივად ჩაქრა. სტუდენტური მოძრაობის აქტივისტები და ლათინური კვარტალის ფილოსოფოსები იმპროვიზირებული მოხსენებებით გამოდიოდნენ სტუდენტთა ჯგუფების





წინაშე, რომლებიც კეთილი განწყობით ხვდებოდნენ მათ. რაღაც მომენტში თავშეკავებამ დე გოლსაც უღალატა და ფარულად გადავიდა საფრანგეთის სამხედრო ბაზაზე გერმანიაში. რამდენიმე კვირის შემდეგ ხელკეტებითა და წყლის სასროლი დანადგარებით შეიარაღებული პოლიციის რაზმები გაარღვევენ ქუჩის ბარიკადებს და აღადგენენ კონტროლს. ისე მოხდა, რომ დეფერი ამ დღეებში პარიზში იყო ინფორმაციას სრულად აწვდიდა ფუკოს.

ფუკო სხვა კონტინენტზეა, ათასი კილომეტრის დაშორებით მომხდარმა მოვლენებმა შეაძრწუნა. შორიდან უცქერდა, მაგრამ ძალიან დააფიქრა მომხდარმა მოვლენებმა. ის მივა დასკვნამდე, რომ იბადება ახალი პოლიტიკა, რომელმაც შეიძლება შეცვალოს საზოგადოება. ამ დღეებიდან ფუკო აქტიურად დაინტერესდება პოლიტიკით და დაიჯერებს, რომ ფილოსოფია უნდა იყოს პოლიტიკის ინსტრუმენტი. გარეთ სამოციანი წლებია: ყველაფერში შეაქვთ ეჭვი, ყველაფერი შეიძლება. როდესაც ფუკო დაინტერესდება ახალგაზრდა აქტივისტებით, ისინი, თავის მხრივ ინტერესდებიან იმ ფილოსოფიური მიდგომებით, რომელსაც „ახალი კანტი“ სთავაზობს. აქედან მოყოლებული ფუკოს ახალგაზრდული აუდიტორია ძალიან გაიზარდა. მისი შრომები ითარგმნებოდა ყველა ენებზე, წიგნები სწრაფად იყიდებოდა ყველგან – ბერკლიდან ბუენოს-აირესამდე. მოგვიანებით, იმავე 1968 წელს ფუკო ბრუნდება პარიზში. მას უკვე შეუსრულდა ორმოცი, და მაც უკვე აწუხებს ახალგაზრდული გარეგნობის აუცილებელი ცვლილებები. აღიზიანებს თმის ცვენა, მან თმები გადაიპარსა. დაიწყო თეთრი სვიტერის ჩაცმა და შეიძინა ვილვეტის პიჯაკი, „დაუთოება არ სჭირდება“. ასე დაიბადა ფილოსოფოსის სურათი: მელოტი, სათვალეებიანი და „კოხტა\_ჩანჩურა“. მის იდეას სახე გაუჩნდა და დაიბადა ლეგენდა ფუკოს შესახებ.

პარიზში ფუკო ულტრა და ზეთანამედროვე ექსპერიმენტალურ უნივერსიტეტში – ვენსენში, პარიზის აღმოსავლეთით, გარეუბანში მიიღებს თანამდებობას. მისი ოფიციალური წოდებაა „ფილოსოფიის ფაკულტეტის თავმჯდომარე“ (პროფესორები უკვე მოდამი აღარაა, მოდამია „თავმჯდომარე მათ“).

განათლების ფრანგული სისტემა რეფორმას საჭიროებდა. ყველაფერი იმდენად რეგლამენტირებული იყო, რომ ამბობდნენ, თითქოს, მაგალითად დილის თერთმეტ საათზე განათლების მინისტრს შეეძლო ეთქვა თუ ქვეყნის რომელი სკოლის, რომელ კლასში, რომელი სახელმძღვანელოს, რომელ გვერდს სწავლობენ. ვენსენს უნდა გაეკვალა გზა განათლების ახალი პრინციპებისაკენ. ის იმართებოდა არა მკაცრი დეკრეტებით (როგორებიცაა ხელმძღვანელობდა ფუკოს მამა თავისი სამედიცინო კოლეჯის მართვისას), არამედ „ერთობლივი მუშაობით“. ფუკომ მოაწყო დეფერი სოციოლოგიის ფაკულტეტზე, სწორედ სტუდენტების პირველი გამოსვლების წინ. უნივერსიტეტი მალე გადაიქცა მაოისტების, კომუნისტებისა და მარქსისტების ბრძოლის ველად, მოგვიანებით კი ამათგან გამოყოფილი ჯგუფებს შორის, რომლებიც მთელი პარიზიდან იკრიბებოდნენ კამპუსში (ეს იყო პარიზის მეტროს ხაზი, რომელიც მოდიოდა სენის მარცხენა სანაპიროდან, (ცნობილიც კი გახდა „პარტიული ხაზის“ სახელით).

მაგრამ პოლიციელებს, როგორც განათლების არასწორი სისტემის მსხვერპლთ, არ ქონდათ სხვა ალტერნატივა, გარდა მოქმედების მათთვის ცნობილი მეთოდებისა. ისინი მაქსიმალურად იყენებდნენ ხელკეტებსა და ცრემლსადენ გაზს დემონსტრაციების დასაშლელად. ფუკოს გაუჩნდა შესაძლებლობა ასულიყო ბარიკადებზე თავისი ახალი მოდური კოსტუმით. ცნობილმა თეთრმა სვიტრმა და მელოტმა თავმა ის მალე აქცია ცნობად მიზნად, მაგრამ გაუმართლა და მხოლოდ გაჩხრეკას დასჯერდნენ.

უმაღლეს წრეებში ფუკოს გაუჩნდა გულშემატკივრები. ზოგიერთები მასში ხედავენ ფრანგული ინტელექტუალური აზრის ამომავალ ვარსკვლავს, რომელსაც საერთაშორისო



არენაზე უნდა შეეცვალა ასაკმომალეებული სარტრი. მისი კანდიდატურა უნდა წამოეწიათ XVI საუკუნეში დაარსებული ცნობილი კოლეჟ დე ფრანსის პროფესორის თანამდებობაზე. ამ უნიკალურ სასწავლო დაწესებულებაში მუშაობდა ორმოცდაათი პროფესორი, ცოდნის ყველა სფეროდან, დაწყებული ფიზიკიდან და დამთავრებული მუსიკით. კოლეჯი არ იძლეოდა სამეცნიერო ხარისხებს, სამაგიეროდ პროფესორებს ქონდათ უფლება წაეკითხათ ლექციები მათ მიერ მომზადებულ დისციპლინებში. ეს იყო ღია ლექციები და აუდიტორიას შეადგენდა ყოველ სფეროში გამოჩენილი სპეციალისტები. გავლენიანი წრეების დაჟინებით ფუკოს მისცეს მასწავლებლის ადგილი ახლადდარსებულ კათედრაზე. როგორც ფაკულტეტის ერთმა ცნობილმა პროფესორმა განაცხადა, კოლეჯი „ყველა ღონეს ხმარობდა არ გამორჩენოდა არცერთი გენიოსი“. სპეციალიზაციის სპეციფიკურობის გამო ფუკოს მიეცა უფლება თავად აერჩია თანამდებობა და ის გახდა „აზროვნების სისტემების ისტორიის პროფესორი“.

ფუკოს ლექციები კოლეჟ დე ფრანსში და მისი ამპერიოდის შრომები ესაა ფუკოს დაბრუნება მისი ფილოსოფიის ნიცშეანური საფუძვლებისაკენ. „მორალის გენეალოგიაში“ ნიცშე აანალიზებს თანამედროვე ეთიკურ კონცეფციებს მათი სათავეებიდან მოყოლებული. მაგალითად, მან აჩვენა თუ რამდენადაა ქრისტიანობა დავალებული თავის ადრინდელ პერიოდზე, როდესაც ის ჩაისახა როგორც მონების რელიგიის რომის იმპერიის გვიანდელ ხანაში (აქცენტი მორჩილებაზე, თანაგრძნობაზე, მეორე ლოყის მიშვერის მოთხოვნა: სწორედ ამ გზით გადაირჩინა თავი სუსტმა).

## 10. ფუკო: „არსებულის ისტორია“ და „გენეალოგიის მეთოდი“

აგრძელებდა რა ნიცშეს იდეას, ფუკომ შექმნა საკუთარი „გენეალოგიის მეთოდი“. ის ეძებს „არსებულის ისტორიას“ ცოდნის განსხვავებული სფეროების ფართო სპექტრში, ლიტერატურიდან მედიცინამდე. ახლა ის მეტ ყურადღებას უთმობს არა ეპისტემას, არამედ ნებისმიერი ცოდნის დუსკურსს. დისკურსი ეს არის სწრაფვა ჭეშმარიტებისაკენ, მაგრამ ჩვეულებრივ ის უარყოფდა ყველაფერს რაც გაგების ჩარჩოებს მიღმაა. რატომ? იმიტომ, რომ ყოველივე რასაც ადამიანი ვერ გაიგებს, არ არის „სასარგებლო“. ცოდნას ყოველთვის ქონდა მიზანი, მას ახასიათებდა მითვისება და დომინირების სურვილი. ის არ იყო რაღაც ნეიტრალური აბსტრაქტული ობიექტი. ცოდნისაკენ ისწრაფიან, რათა გამოიყენონ; ის იყო ძლევამოსილი დაცვალებადი. ამან მიიყვანა ფუკო „ცოდნა\_ძალა“-ს კონცეფციამდე, ხაზს უსვამდა თუ როგორ განუყოფლადაა ეს ორი ცნება ერთმანეთთან დაკავშირებული. გამოდის რომ, ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვა ფარულად არის მხოლოდ სწრაფვა ძალისაკენ, პირველადი ადამიანური სტიმულისაკენ, რომელიც ნიცშეს ფილოსოფიის ცენტრშია მოქცეული. ფუკოს „გენეალოგია“ მცდელობაა გაანალიზებულ იქნას მიმართება ძალასა და ნებისმიერ კონკრეტულ ცოდნას შორის.

მაგრამ ფუკოს თეორია განსხვავდებოდა ნიცშეს თეორიისაგან ერთ მნიშვნელოვან საკითხში. ფუკოსთან ძალა არ ეკუთვნის ინდივიდს, როგორც ნიცშესთან ეკუთვნის „ზეადამიანს“. ფუკო აღიარებს რომ ძალის მნიშვნელოვანი ასპექტი სოციალური ურთიერთობების სფეროში დევს. პიროვნებას შეუძლია ძალის ფლობა, როგორც იძულებისა და დომინირებისა, მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ძალა ასევე ჩართულია ცოდნის შექმნასა და გამოყენებაში. თანამედროვე საზოგადოებაში შეკავებისა და დაპირისპირების ურთულეს სისტემაში ფუკოს ეს თეორია საკმაოდ ადექვატურად წარმოგვიდგება.

ძალაუფლების შეცვლა და გადაცემა ქმნის სივრცეს, სადაც შეიძლება გაჩნდეს დისკურსი. ეს ცოდნა და ზოგადად, ყველა თეორია პირობითია. ასევე პირობითია ცოდნის კონკრეტული



სფეროს ფარგლებში მისი დაყოფა ჭეშმარიტებად და მცდარობად. ის ვითარდება, იზრდება, აქვს მოულოდნელი ცვლილებები – მას აქვს თავისი გენეალოგია. რამდენადაც ეს დაყოფა დამოკიდებულია გარემო ვითარებებზე, აქ ცოდნის ჭეშმარიტების კრიტერიუმიც პირობითია.

აბსოლუტური ჭეშმარიტების ცნება კვლავ ზედმეტი ხდება. მაგრამ ამ ჭეშმარიტებების ფარდობითობა ზემოთხსენებულ პირობებს ექვემდებარება. ყოველი კონკრეტული ჭეშმარიტება, ჭეშმარიტებაა იმ კონკრეტული მომენტისათვის, როდესაც ის იქნა გაცნობიერებული. ამ ჭეშმარიტებას შეიძლება ქონდეს რაიმე ნაკლი, უზუსტობა და წინააღმდეგობაც კი, მაგრამ, სანამ ის მიესადაგება ცოდნის შესაბამის სფეროს ის ზოგადმისაღებად რჩება. სხვა სიტყვებით, ის მუშაობს სანამ ძალის მოთხოვნებს შეესაბამება.

ამის მაგალითები ბლომადაა ისტორიაში – სამყაროს პტოლომესეული სისტემა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო, ან ალქიმიის უფრო დიდი ხნის ისტორია. ჭეშმარიტების ასეთი კონცეფცია მიესადაგება „ზუსტი“ მეცნიერებების თანამედროვე თეორიებს. შეუსაბამობა კვანტურ ფიზიკასა (რომელიც ძირითადად გამოიყენება სუბატომურ დონეზე) და კლასიკურ მექანიკას (რომელიც ყოველდღიურად გამოიყენება კომპლექსურ მანქანათმშენებლობაშიც კი) შორის, ყველა მეცნიერისათვის ცხადია. მაგრამ ორივე სისტემის „ჭეშმარიტებები“ გამოიყენებიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მიჩნეულია ურთიერთგამომრიცხავებად, იმიტომ, რომ ორივე ამ სისტემას გააჩნია ცოდნის შემქმნელი ძალა, რომლის ქმედითობა შეიძლება გვიან გამოჩნდეს. არც კვანტური და არც კლასიკური ფიზიკა არ გვთავაზობს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას და მათი არსებობა ლოგიკის ჩარჩოებს მიღმაა. ამ თვალსაზრისით პირობითია თვით მეცნიერების ბოლო მიღწევებიც კი.

საბოლოო ჯამში ასეთი ფარდობითობა მისაღებია (ალტერნატივა უბრალოდ არა გვაქვს). ფუკო, ავლენდა რა რეალობის წინააღმდეგობრივ ბუნებას წინ წავიდა. აღიარა, რომ „ჭეშმარიტება“ შექმნილია მისი დისკურსის მიერ, იმ ცოდნის პროდუქტია, რომელსაც მიესადაგება. ჩვენ შეგვიძლია ცოდნის ყველა სფეროში მოვიძიოთ ამის მაგალითები. ავიღოთ მაგალითად ლიტერატურული ნაწარმოების „ავტორის“ ცნება. ეს ცნება არ უნდა იქნას იდენტიფიცირებული რომელიმე ადამიანთან, რომელიც უზის მაგიდას და წერს წიგნს. არა, ამბობს ფუკო, ნაწარმოების ავტორი – ეს არის რაღაც კრებითი სახე, რომელშიც იგულისხმება მრავალი ფაქტორი, ისეთი როგორცაა ენა, კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ ადგილას ლიტერატურის ცნება, და სხვა ისტორიული და სოციალური ელემენტების ერთობლიობა. თუ მათ გავაანალიზებთ „ავტორობის“ ცნება უბრალოდ გაქრება: „სინამდვილეში ავტორი არ არის მიზეზი, წყარო ან საწყისი წერტილი აზრის წერილობითი თუ სიტყვიერი მოვლენისა; მას არც წინასწარგანზრახულად შეუძლია გამოიცილოს სიტყვები და შეადგინოს მათგან თავისი აზრები გარსი“. სინამდვილეში ავტორი შეიძლება „იცვლებოდეს ყოველ წინადადებასთან ერთად“.

ეს დებულება არც ძალიან ცხადია და არც აზრს არ არის მოკლებული. რა თქმა უნდა გარემოს, კულტურასა და ენას ნებისმიერ ავტორზე აქვს გავლენა. რა თქმა უნდა, ყმაწვილი შემოქმედი დაილუპავს თავს თუ შეეცდება თავისი სიშიშვლე დამალოს ასაკოვანის ლამაზი სამოსით. ამგვარადვე, როგორც ვაჩვენეთ, ავტორი შეიძლება შეიცვალოს წინადადებიდან წინადადებამდე. მაგრამ ეს არ ნიშნავს მე-ს გაქრობას კვამლის ბოლქვებში. ფუკოს იდეა იმის შესახებ, რომ ავტორი მხოლოდ ვითარების მძევლია, მასაც ასევე ეხება, როგორც ავტორს. ასე რომ, არარსებული ავტორის თეორია შექმნა არარსებულმა ავტორმა, ანუ ეს არ ასაბუთებს ავტორის არც არსებობას და არც არარსებობას.



მაგრამ ეს არ იყო უმნიშვნელო ნიუანსების აბსტრაქტული შესწავლა. წიგნის პირველივე გვერდებიდან ფუკოს მოყავს ციტატა ამოღებული XVIII საუკუნის დოკუმენტიდან დასჯის შესახებ, რომელიც უკიდურეს სადომანოზისტსაც კი აუჩქარებს გულისცემას. ფანატიკოსმა რობერ დამიენმა ვერ მოახერხა ლუი XV ის მოკვლა ვერსალში და 1757 წლის 2 მაისს მას მიუსაჯეს „საჯარო მონანიება პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ცენტრალური ჭიშკრის წინ“. ეს, ერთი შეხედვით უწყინარი დასჯა გულისხმობდა ასეთ უჩვეულო პროცედურას: „გავარვარებული მარწუხებით ძუძუსთავების, ხელისგულების, კუნთების დაგლეჯის შემდეგ, ის უნდა აეყვანათ წინასწარგამზადებულ ემაფოტზე, მას მარჯვენა ხელში უნდა სჭეროდა დანა, რომლითაც ის აპირებდა მეფის მოკვლას; ეს ხელი უნდა მოეწვათ ანთებული გოგირდით, მარწუხებით დაგლეჯილ ჭრილობებში უნდა ჩაესხათ ცხელი გამდნარი ტყვია, ადუღებული ზეთი, ცხელი დამდნარი სანთელი და ა.შ. შემდეგ ეს სხეული უნდა დაეგლიჯათ ოთხი ცხენით, დაგლეჯილი ბოლოები და სხეული უნდა დაეფერფლად, ხოლო ფერფლი ქარისათვის გაეტანებინათ“. ყოველივე ეს ფუკოს დეტალურად აქვს აღწერილი წიგნის პირველ ოთხ გვერდზე. ის წერს მსხვერპლის „ხმამალა, გაბმულ კვილზე“ და დაწვრილებით აღწერს ჯალათის, რომელსაც სამსონი ერქვა, ოსტატობას, რომელიც, თუმცა კი ეტყობოდა, რომ ჯანიანი იყო, ძლივს გლეჯდა სხეულის ნაწილებს, რამდენჯერმე ჩაავლებდა მარწუხებით ერთსა და იმავე ადგილს და ძალუმადა ამოატრიალებდა“. ასევე დიდხანს და დეტალურად აღწერს ფუკო სხეულის დაგლეჯის პროცედურას, ხელები და ფეხები ოთხ ცხენს გამოაბეს, მაგრამ ოთხმა ცხენმა ვერ შესძლო მნელი საქმე, მათ დაუმატეს კიდევ ორი ცხენი, ვერც მათ შესძლეს საქმის მომთავრება, ბოლოს თვით ჯალათი მიადგა და დანით დაანაწევრა სიკვდილმისჯილი.

ფილოსოფია არასოდეს ყოფილა ასეთი. თვით პლატონის მიერ აღწერილი სცენა, ალკიბიადეს დაჟინებული მცდელობები დაეყოლებინა სოკრატე, ბავშვურ გართობად ჩანს ამ ფონზე, თუმცა ნიციშეს გაფრთხილება, რომ „თუ ქალთან მიდიხარ, მათრახი არ დაივიწყო!“ უკვე აჩვენებს თუ რა მიმართულებით მიდის ფილოსოფია. მაგრამ იმის მერე რაც ფუკომ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა მკითხველზე, დარჩა კი კიდევ რამე მნიშვნელოვანი სათქმელი? ფუკო მარტივად ახსნის, რომ ციხეები დაიბადა XVIII საუკუნეში, როდესაც წამება და საჯარო დასჯა შეიცვალა საპყრობილებით. ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ გაენადგურებინათ დამნაშავეს სხეული, საზოგადოება იღებს კონტროლს ამ პროცესზე. იგივე ხდება საზოგადოებაში, სადაც ადამიანის სხეული ექვემდებარება ძალას. ჯარში შემოიღეს მუშტრა, ინდუსტრიალური ეპოქის ფაბრიკებს სჭირდებოდა დისციპლინირებული და მართვადი სამუშაო ძალა. სწორედ ამ დროს ნაპოლეონი საფუძველს უყრიდა თანამედროვე საფრანგეთს. ამ ცვლილებებმა მიგვიყვანა საზოგადოებაზე სრული კონტროლის განვითარებამდე: შემოღებულ იქნა ახალი სასამართლო სისტემა, ახალი წესები, ახალი მცდელობები სისტემაში მოეყვანათ სოციალური ყოფის მრავალი ასპექტი. საუკუნეებამოვლილი სოფლური ადათწესები სტრუქტურირებულ ქალაქურ არსებობად შეიცვალა.

**11. ფუკო: ციხეების დაბადება – ძალაუფლება და ცოდნა. პანოპტიკუმი**

ფუკო ამ პროცესს მინიატურაში განიხილავს, სწავლობს მხოლოდ ციხეების გაჩენას. სისხლის სამართლის სასჯელი იმიტომ კი არ გაჩნდა, რომ ფილანტროპმა რეფორმატორებმა ჰუმანური ცვლილებები შეიტანეს სისხლის სამართალში. ეს უფრო სოციალური პროცესების ბუნებრივი შედეგია – მართვადი და დისციპლინირებული საზოგადოების ფორმირება. ძალა, რომელიც ოდესღაც სხეულს ანადგურებდა ახლა ის დაუმორჩილა თავის ძალაუფლებას. ციხეებში, როგორც სკოლებში, ფაბრიკებში, ჯარში ადამიანი ემორჩილება



დისციპლინას და იმყოფება მუდმივი ყურადღების, თვალთვალის ქვეშ. ციხის თაობაზე ფუკოს იერემია ბენტამის პანოპტიკუმის (სიტყვასიტყვით, „ყველაფრის ხედვა“) კლასიკური მაგალითი მოყავს. პანოპტიკუმი წარმოადგენს თაღოვან ნაგებობას, რომლის ცენტრში მაღლა მოწყობილია მოედანი საიდანაც ჩანს და განაგებენ დაბლა განლაგებულ ყველა კამერებს, და ყოველმა პატიმარმა იცის, რომ მას ნებისმიერ წუთს უთვალთვალევენ. ეს არის ახალი საზოგადოების არქექტიპური ხატი. ნათლად ჩანს პარალელები ფუკოს წინა თეორიებთან. პატიმრობა ნიშნავს კონტროლსა და ცოდნას. ძალა და ცოდნა ერთიანია.

ამ საზოგადოებაში ძალაუფლება აუცილებლად განიცდის ტრანსფორმაციას. ფუკოს თეორიის თანახმად, მას აღარ შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა. ის არ არის აბსოლუტური და არ ეკუთვნის ერთ ადამიანს, როგორც ლუდოვიკო XV–ს ეპოქაში. ძალა გადაიქცა „ტექნოლოგიად“: ეს არის საზოგადოების კონტროლი საკუთარ წევრებზე. თანამედროვე ინდივიდი ყალიბდება უამრავი წესებისა და მითითებების სივრცეში. როდესაც ის რეაგირებს ამ შეზღუდვებზე ამით ის გარკვეულწილად ქმნის საკუთარ თავს. ეს ნათლად ჩანს დენდის არქექტიპზე. ნაცვლად იმისა, რომ გაანადგუროს თავისი ინდივიდუალობა, ის გრძნობს თვითგამოხატვის აუცილებლობას – ღიად და ექსტრავაგანტურ ფორმებში, რომელიც ფაქტობრივად წესების დიდი რაოდენობის დაძლევის გულისხმობს.

შემდეგ ფუკო აჩვენებს თუ როგორ გამოიწვია საპატიმროს დაბადებამ მრავალი სოციალური მეცნიერებების აღმოცენება, როგორებიცაა კრიმინოლოგია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია. შესაძლებელი გახდა პატიმრების შესწავლა და დახასიათება. ზუსტად ისევე, როგორც შემოიღო იქნა აყვანილი კონტროლზე, ჩნდება და შინაარსი შეიძინა „ნორმალურობამ“. ახალი მეცნიერული დისციპლინების გაჩენის კვალდაკვალ სულ უფრო იზრდებოდა საზოგადოების ძალაუფლება თავის „პატიმრებზე“. ეკონომიკამ, ისტორიამ და გეოგრაფიამ ამ პერიოდში შეიძინეს მეცნიერული განზომილება. ცოდნა/ძალას მეტი გაგებისა და მეტი კონტროლისაკენ მივყავართ.

ფუკოს ისტორიული არგუმენტები კრიტიკას ვერ უძლებს. მისი ისტორიული განვითარების ნარკვევი მისაღებია და სწორია საფრანგეთისათვის, ბურბონების აბსოლუტური მონარქიიდან ნაპოლეონის შემდგომ ეპოქაზე გადასვლის ანალიზისათვის. მაგრამ ისტორია სულ სხვაგვარად ვითარდებოდა შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში და გერმანიაში. მაგრამ ფუკო რაღაცაში მაინც სწორია: ამ განსხვავებებს უკან რაღაც მსგავსება იმალება. ფუკოს მიხედვით კვლავ არღვევს საკუთარ საზღვრებს – ისე ეტყობა, რომ კვლავ მორიგ თეორიად ყალიბდება. ისტორიული მაგალითებიც ხშირად თითქოს დაუსაბუთებელია. მაგალითად, ბენტამის პანოპტიკუმი უფრო შუასაუკუნეების ღმერთის, ყოვლადმძლიერისა და ყოვლისმხედველის იდეის ხორცშესხმაა და არა XIX საუკუნის საზოგადოების ძალისმიერი სისტემა.

ფუკოს იდეები, როგორც ჩვეულებრივ, სათავეს ადრინდელ ფილოსოფოსთა თეორიებში იღებენ. ჩვეული კანტის, ნიცშესა და ჰაიდეგერის გარდა, ფუკომ ბევრი რამ აიღო XIX საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსის, თანამედროვე სოციოლოგიის ერთ-ერთი მამამთავრის ე. დურკემის იდეებიდან. დურკემი ედავებოდა პოპულარულ ბრიტანულ და ამერიკულ თეორიას, რომლის თანახმად ინდივიდი და მისი კერძო ინტერესები აყალიბებს საზოგადოების საფუძვლებს, რომ თავად საზოგადოება მხოლოდ ხელოვნური ცნებაა. (ეს დამოკიდებულება შეიმჩნევა მარგარეტ ტეტჩერის სიტყვებში: „ისეთი რამ, როგორც საზოგადოებაა, არ არსებობს“).

დურკემი ხაზს უსვამდა საზოგადოების პრიორიტეტს ადამიანთან მიმართებაში. ის განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ სოციალური ინტეგრაცია აიგება საერთო



მორალური ღირებულებების საფუძველზე და ცდილობდა საზოგადოების რღვევის წყაროები მოეძიებინა. ფუკოს იდეები „ძალის ტექნიკასთან“ დაკავშირებით დურკემის იდეებს კარგად აგრძელებს .

ფუკო, დურკემის მსგავსად, დაბლა სწევს პიროვნების როლს, რომელიც, როგორც „ავტორი“, მხოლოდ ფუნქციაა. ამგვარად, მის სოციალურ-ისტორიულ ანალიზში არის „მკვდარი ზონა“ – მნიშვნელოვანი ისტორიული პიროვნებების გავლენა. ეს გამორჩათ ჰიტლერისა და სტალინის ჩრდილში გაზრდილებს, რომლებიც წლებს ხარჯავდნენ გაერკვიათ თავიანთი დამოკიდებულება დე გოლისადმი. ფუკოს იდეის გამოყენება ამერიკის ისტორიის მიმართ კიდევ უფრო სადავოა. ცვლილებები ამერიკულ საზოგადოებაში, რაც გამოიწვია ტექნოლოგიების, ინფორმაციის მასობრივი საშუალებების და მეწარმეობის განვითარებამ, საკმაოდ გაუგებარია. ამ მიმართებაში ამერიკელთა გამოცდილება დასავლეთის (მათ შორის საფრანგეთის) გამოცდილების ნაწილია. ამის იგნორირება არ შეიძლება. თუ ფუკოს თეორია ამას ვერ ხსნის, ის არ გამოდგება XX საუკუნისათვის.

## 12. ფუკო: სექსუალობის ისტორია

1975 წელს ფუკო დაბრუნდა კალიფორნიაში, ბერკლის უნივერსიტეტში. ცოტა უფრო სამხრეთით, სან\_დიეგოში მარქსისტი მარკუზე უკვე აკრიტიკებდა დასავლეთის „ერთგანზომილებიან ადამიანს“. ყველგან ეჭვი ბუდობდა, კალიფორნია სავსე იყო იდეებით – სენსაციურიდან დაწყებული, საკმაოდ გულუბრყვილო იდეებით. (სანამ ტიმოთე ლირი მოუწოდებდა: „ჩამოდი, გაერთე, მიბრძანდი“, კალიფორნიის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, რიჩარდ ფეინმანი, მიურეი გელ\_მანი და მსგავსნი მათნი კვანტური ელექტროდინამიკის პრობლემებზე მუშაობდნენ) ფუკო განწირული იყო დიდი წარმატებებისათვის. თავის ლექციებში თეორეტიზირებდა სხვადასხვა სექსუალური გადახრების თემაზე. ლექციებს შორის შესვენებებში ის აქტიურად შეისწავლის სადო – მაზოხისტური კლუბების საბანაოებს სან\_ფრანცისკოში. ერთხელ ნარკობურანში მყოფი გაემგზავრა უდაბნოში, მორფინით გაბრუებული, ავტოსტრადაზე გადასვლისას კინაღამ გაიტანა მანქანამ. ის ცდილობდა თეორიულად გაემართლებინა თავისი ცხოვრების წესი. სურვილები დათრგუნულია „ბუნებრივი შეზღუდვის იდეითა“ და „ფიზიკური შესაძლებლობების საზღვრებით“: ადამიანმა სურვილების შესრულებით უნდა გააკეთოს გარღვევა სიამოვნებისაკენ. ამგვარად, სიამოვნება, ისევე როგორც სურვილები არანორმალურად არ ჩაითვლებიან. ამგვარადვე სადომაზოხიზმი ანგრევს ძალაუფლებას (ტკივილს), იმით, რომ აქცევს მას ეროტიკულად (ე.ი. გადაყავს სიამოვნებაში).

ამ თეორიის სისუსტე დაინგრეოდა პარიზში, მაგრამ ფუკო კალიფორნიაში იმყოფებოდა, სადაც ბედნიერი 60-იანი წლებიდან 70-იანის თეორიებზე გადადიოდნენ. შავი პანტერები ყვავილების შვილებმა შეცვალა. ფუკომ გადაწყვიტა დაეწერა სექსუალობის ისტორია სამ ტომად. აქ უნდა გაერთიანებულიყო – გონი, სიგიჟე და სექსის მოულოდნელად მოსაწყენი ისტორია. ამტკიცებენ, რომ პირველი ტომი (ირონიის გარეშე) არის სექსუალურობის „შესავალი“. აქ ფუკო საინტერესოდ მსჯელობს: რენესანსის შემდეგ სექსუალურობა „აღქმულ“ იქნა საზოგადოების რეპრესიული ძალების მიერ. მედიცინამ და ფსიქოლოგიამ გავლენა დაიწყეს სხეულზე და სექსუალობა აღმოჩნდა საზოგადოების კონტროლს ქვეშ. მსგავსი უსისტემო განზოგადებები, თუნდაც რომ მოყვანილი თანამედროვე დიკუმენტებით განმტკიცებული, ასახავდნენ ფუკოს ფილოსოფიის ვარდნას. ფაქტები, რომლებიც მას მოყავდა ხშირად სწორიც არ იყო. მაგალითად, XVIII საუკუნეში ბრიტანელები მშვიდად აღიქვამდნენ სექსუალობას, ეს შეიძლება იყო ერთადერთი მშვიდი პერიოდი ელისაბედისა



და ჰიპის ეპოქებს შორის. (არც ეს განზოგადებაა გამართლებული, მაგრამ მე არ ვაპირებ მასზე თეორიის აგებას იმ მიზნით, რომ ჩავძირო სხვა თეორია).

„სექსუალობის ისტორიის“ მეორე ტომში ფუკო გადადის ძველ საბერძნეთში, სადაც სრული და ღია ეროტიზმი ბატონობდა. სამწუხაროდ, საბერძნეთის ცხოვრების წესის შესწავლას ის იყენებს იმისათვის, რომ აეხსნა და ეჩვენებინა თუ როგორ შევიდა სექსუალობა მორალური ნორმების სისტემაში. მაგრამ იყო კი ეს ასე საბერძნეთში? სექსუალობა – ეს მნიშვნელოვანი ცნებაა ადამიანის ევოლუციაში, რომ სექსუალობის აკრძალვები შეიძლება შეგვხვდეს პრიმიტიულ საზოგადოებებშიც. ცხოველებთანაც კი სექსუალური ქცევა განუყოფელია, რაღაც ჩასახვის მორალის მსგავსი რამესაგან. სექსუალური მორალისაგან თავის ასარიდებლად აუცილებელია გაცდე საზოგადოების საზღვრებს. ამ თვალსაზრისით საბანაოები და კლუბები თავშესაფარს სთავაზობენ მათ, ვინც ცდილობს თავი აარიდოს ცივილიზაციის მიერ დადგენილ შეზღუდვებს. საზოგადოების ფარგლებში ერთადერთი ადგილი სადაც სექსუალობა აბსოლუტურად თავისუფალია მორალური შეზღუდვებისაგან, ეს არის ყმაწვილის ფანტაზიით გაბრუებული გონება. (ამ აზრით ჩვენ ყველანი ყმაწვილები ვართ).

„ისტორიის“ მესამე ტომში მოქმედებების გადადის ძველ რომში. აქ „სექსუალურ დისკურსში“ ფუკო რამდენიმე შენიშვნას აკეთებს „თავად კულტურის“ თაობაზე. ის აღწერს სუბიექტურობის განვითარებას: მის გარდაქმნას „ურთიერთობა, ქცევის მოდელად“ და „ცხოვრების წესად“. მისი თავისებურებები გახდა „განაზრებების ობიექტი, ისინი ვითარდებოდნენ და გადაეცემოდნენ შემდეგ თაობებს“. ამგვარად გადაიქცა სუბიექტურობა „სოციალურ პრაქტიკად, რომელმაც ბიძგი მისცა ინდივიდებს შორის ურთიერთობას“. უკვე ეს ურთიერთობები კი ზოგჯერ სოციალური ინსტიტუტების ჩასახვამდე მიდიდნენ.

1984 წლის მაისში ფუკომ „სექსუალობის ისტორიის“ მესამე ტომი გაუგზავნა გამომცემელს. ორი კვირის მერე მას გული წაუვიდა და ჰოსპიტალში იქნა გადაყვანილი. ორი წლის წინ მან აღმოაჩინა, რომ მის ჯანმრთელობას რაღაცეები ასუსტებდა. მხოლოდ ახლა დაადგინეს მიზეზი. ფუკოს ქონდა შიდა. ბოლო ახლოვდებოდა. 25 ივნისს ის გარდაიცვალა. გასვენებაში ათასობით დამწუხრებული მოვიდა. მათ შორის იყვნენ საფრანგეთის კულტურულ წრეებში კარგად ცნობილი ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებით შეაწუხა ფუკოს გარდაცვალებამ. მიუხედავად მძაფრი თეორიული წინააღმდეგობებისა, ფუკო ყველას მიმართ იყო კეთილგანწყობილი, ბევრი მას თავის მეგობრად თვლიდა.

### 13. ფუკოს ძირითადი იდეები და საკვირველი მომენტები

კლასიციზმის ეპოქაში (გონების(რაციონალიზმის) ერა) გაიყოფიან სიგიჟისა და გონიერების ცნებები და ჩნდება შემოღობვის იდეა. სწორედ მაშინ ჩნდებიან საგიჟეები.

ეპისტემე (დისკურსი) – ეს არის აზროვნების სტრუქტურა, რომელიც გარკვეული ეპოქისათვის დამახასიათებელ აზრს გამოხატავს. ეს არის ფარული წანამდღვრებისა და სააზროვნო პროცესების ერთობლიობა, ეს არის „აზროვნების ტიპი“, რომელშიც ეპოქის მეცნიერული, ფილოსოფიური და კულტურული აზრია მოქცეული.

არქეოლოგია – ეს არის აზროვნების სტრუქტურის გამოვლენის ხერხი, რომელიც გარკვეული ეპოქის კონცეფციის ჩარჩოებს განაპირობებდა. ფუკოს მიაჩნია, რომ ეს ეპოქის დოკუმენტების შესწავლით მიიღწევა .



გენეალოგია – ამ ტერმინს ნიციშე მორალის კვლევის აღწერისას იყენებდა, რამაც მას საშუალება მისცა თვალი მიედევნებინა მისი ევოლუციისათვის: რას წარმოადგენდა მორალი და მისი ფარული მოტივები თავიდან და როგორ აისახება ეს მორალისადმი თანამედროვე მიდგომაში. გენეალოგია გვიჩვენებს ძალაუფლებისაკენ სწრაფვის ისტორიას. ფუკო გენეალოგიას უწოდებს განსხვავებული „ცოდნის“, როგორებიცაა ლიტერატურა, მედიცინა და ეთიკა, მის მიერ ჩატარებულ ისტორიულ ანალიზს. ანალიზი ცხადყოფს თუ როგორ იცვლებოდა „ჭეშმარიტების“ ცნება ცოდნის განვითარების პროცესში. ეს ცვლილებები ვერ ჯდება იან ლოგიკის კანონების ჩარჩოებში, ისინი კონკრეტული ეპოქისათვის დამახასიათებელ გარკვეულ ეპისტემაზე არიან დამოკიდებული. ყველა ჩვენი წარმოდგენები ჭეშმარიტების თაობაზე, ფაქტობრივად პირობითია.

„ავტორი“ – ეს არის მხოლოდ ფუნქციონალური პრინციპი, რომელიც ზღუდავს წარმოსახვას იმით, რომ მას გარკვეული ეპოქის „აზრის სახის“ ჩარჩოებში მოაქცევს.

ფუკო ირწმუნებოდა, რომ მისი შემოქმედების „მამოძრავებელი მოტივი“ უბრალო „ცნობისმოყვარეობა“ იყო. მაგრამ ეს იყო უმაღლესი რიგის ცნობისმოყვარეობა: „ცოდნა იმისა, შესძლებს თუ არა ერთი ადამიანი იფიქროს და იგრძნოს სხვაგვარად, ვიდრე სხვა, რაც აბსოლუტურად აუცილებელია იმისთვის, ვისაც სურს საერთოდ იფიქროს და იგრძნოს“.

**საუკეთესო ფუკოს შრომებში:**

„ისტორიას, რომელიც ჩავვითრევს ჩვენ თავის დინებაში და განგვსაზღვრავს ჩვენ, უფრო ომის ფორმა აქვს, ვიდრე ენის: ეს არის ძალაუფლებრივი ურთიერთობის არენა და არა „მნიშვნელობის“ ურთიერთობისა. ისტორიას არ გააჩნია „მნიშვნელობა“, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, ის აბსურდი და უაზრობაა“.

გენეალოგია ცდილობს ჩაწვდეს იმ ენის წყაროებს, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, და წესებს, რომელთაც ჩვენ ვიცავთ. ეს იმისთვის კეთდება, რომ ნათელი გახდეს ჰეტეროგენული სისტემები, რომლებიც ჩვენს ეგოს ნიღბამოფარებული რეალობას გვიმაღავენ. მისი მიზანია არა ის, რომ „ხელახლა აღმოაჩინოს ადამიანური პიროვნების ჩამოყალიბების წყაროები, არამედ ექვი აღგვიძრას და გაფანტოს ეს „ილუზიები“. გენეალოგია „ცდილობს ადამიანური ისტორიის თანმიმდევრობაში“ ყველა დარღვევა აღმოაჩინოს.

**საკვირველი მომენტები:**

ფუკო: „ცხოვრებით ტკბობა არც ისე ადვილია, როგორაც ჩანს. იმედია რომ მოვკვდები სიამოვნების ჭარბი დოზის გამო. ვფიქრობ ეს მართლა რთულია და მე ყოველთვის მაწუხებდა შეგრძნება, რომ ვერ ვგრძნობ ამ სიამოვნებას, სრულ, აბსოლუტურ სიამოვნებას, ჩემთვის ის დაკავშირებულია სიკვდილთან“.

**ინტერვიუერი:** „რატომ ფიქრობთ ასე?“

ფუკო: „მე ვფიქრობ, რომ ის სიამოვნება, რომელსაც მე ნამდვილს ვეძახი, იმდენად ღრმა, იმდენად ძლიერი და დაუძლეველი იქნებოდა, რომ მე ვერ გავუძლებდი. მოვკვდებოდი.“





შემდეგ ის ყვება, რომ მის ცხოვრებაში ერთ-ერთი უბედნიერესი მომენტი იყო, როდესაც მას მანქანა დაეჯახა (ფუკო იმყოფებოდა ნარკობურანში), „მე მომეჩვენა, რომ ვკვდები და ეს ნამდვილად იყო ძალიან ძლიერი სიამოვნება... ეს იყო და რჩება ჩემს ერთ-ერთ საუკეთესო მოგონებად“.

#### 14. ფუკოს ცხოვრების ქრონოლოგია.

- 1926 წელი, პუატიეში დაიბადა პოლ\_მიშელ ფუკო.
- 1945 წელი, ფუკო მეორედ ემზადება პარიზის უმაღლეს ნორმალურ სკოლაში ჩასარიცხად.
- 1946\_1952 წწ. უმაღლეს ნორმალურ სკოლაში სწავლა.
- 1955\_1958 წწ. უპსალას, შვედეთი, უნივერსიტეტში მასწავლებლობა.
- 1960 წელი. დანიელ დეფერთან ნაცნობობის დასაწყისი, გრძელდება სიცოცხლის ბოლომდე.
- 1961 წელი, გამოაქვეყნა „სიგიჟე და ცივილიზაცია“.
- 1963 წელი, აქვეყნებს „საგანთა წესრიგი: ადამიანური ცოდნის არქეოლოგია“.
- 1966\_1968 წწ. ტუნისის უნივერსიტეტის შტატგარეშე პროფესორი.
- 1969 წელს, მიიღო თანამდებობა კოლეჟ დე ფრანსში.
- 1970 წელი, პირველი ლექციები აშშ.
- 1972 წელი, ლექციები ბუფალოში, ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მოინახულებს ნიუ-იორკის საპატიმროს, ატიკას.
- 1975 წელი, აქვეყნებს ნაშრომს „ზედმხედველობა და დასჯა: საპატიმროს დაბადება“. კითხულობს ლექციებს კალიფორნიის უნივერსიტეტში, ბერკლი.
- 1976 წელს, გამოდის „სექსუალობის ისტორიის“ პირველი ტომი.
- 1984 წელს, სექსუალობის ისტორიის” მეორე ტომი.
- 1984 წელს პარიზში გარდაიცვალა შიდსის დიაგნოზით.
- 1984 წელს, გამოდის „სექსუალობის ისტორიის“, მესამე ტომი, (სიკვდილის მერე).



მიშელ ფუკოს სოციალური დოქტრინის ძირითადი ცნებები (მოკლე შინაარსი)

1. მიშელ ფუკო: “ეპისტემე და დისკურსი”,
2. მიშელ ფუკო: “ცოდნის არქეოლოგია”,
3. მიშელ ფუკო: “ძალაუფლების გენეალოგია”,
4. მიშელ ფუკო: “შემლილობა და ცივილიზაცია”
5. მიშელ ფუკო: “კლინიკის დაბადება”,
6. მიშელ ფუკო: “დისციპლინა და სასჯელი”-ციხეების დაბადება,
7. მიშელ ფუკო: “სექსუალობის ისტორია”
8. მიშელ ფუკო: “სექსი – ყველაფრის ამხსნელია”.

“ეპისტემე და დისკურსი”, აზროვნების ტიპებს, ცრურწმენებს, ვარაუდებს, რომლებიც ქმნიან და ზღვარს უდებენ ნებისმიერი კონკრეტული ეპოქის აზრებს, ფუკომ დაარქვა „ეპისტემა“. ფუკოს ეპისტემა არის ასეთი ვარაუდების მთელი სისტემა: რომელიმე ისტორიული ეპოქისათვის დამახასიათებელი აზროვნების გარკვეული ტიპი. ეპისტემა განსაზღვრავს ცოდნის საზღვრებს და ამ ეპოქისათვის თვით ჭეშმარიტების ცნებასაც. ყოველი ეპისტემა გარდღევალად ქმნის ცოდნის გარკვეულ სისტემას. ამ სისტემას ფუკომ დაარქვა დისკურსი. ამ ცნების ქვეშ იგულისხმება გარკვეული ეპისტემის მიერ შექმნილი კონცეფციების, პრაქტიკის, დებულებების და მრწამსის ერთიანობა.

ეპისტემე ესაა სისტემა, რომელიც შექმნილია ჩვენი კონკრეტული კულტურული წანამდღვრების (ეპისტემა) შესაბამისად. კლასიფიკაციის ნებისმიერი სისტემა ყოველთვის რაიმე საზღვრებშია მოქცეული ანუ აქვს თავისი საზღვრები. სადა არის ჩვენი ეპისტემის საზღვარი? ჩვენ ეს კითხვა ჩვენს თავს უნდა დავუსვათ.

აღორძინების ეპისტემა შეიცვალა კლასიკურით (ან განმანათლებლობის ეპისტემით). აზრი მიუბრუნდა განსხვავების იდეას, უარი თქვა მსგავსების იდეაზე. ანალიზმა გზა მისცა გაზომვასა და ექსპერიმენტს. გონებამ დაადგინა განსხვავება. შედეგად აღმოჩნდა, რომ ქიმიური ნივთიერება შედგება ცალკეული ელემენტებისაგან ან მათი კომბინაციებისაგან, მცენარეები და ცხოველები დაჯგუფდნენ სახეებად, ოქრო პივლად გადაიქცა ეროვნული სიმდიდრის საზომად.

XIX საუკუნის დადგომით ესეც შეიცვალა. კაცობრიობის შესწავლა დაიწყო, როგორც ისტორიის სუბიექტისა. ისეთი განსხვავებული მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ დარვინი, ჰეგელი, მარქსი – კაცობრიობას უკვე განიხილავენ მის ისტორიულ განვითარებაში. აზროვნების ეს ტიპი შენარჩუნებულ იქნა თვით XX საუკუნემდე. არქეოლოგია, ადამიანი – ეს ახლო წარსულის აღმოჩენაა და შეიძლება, მისი ბოლო მალევე დადგეს.“

ფუკოს მეთოდოლოგიის არსებას ორი ცნება– “ცოდნის არქეოლოგია” და “ძალაუფლების გენეალოგია” შეადგენს.

“ცოდნის არქეოლოგია “აწესრიგებს (ორგანიზებას უკეთებს) დოკუმენტს, ანაწევრებს მას, კლასიფიკაციას უკეთებს, აწესრიგებს, ანაწილებს დონეების შესაბამისად, აღნიშნავს რელევანტურსა და არარელევანტურს, გამოყოფს ელემენტებს, განსაზღვრავს ერთობლიობებს, აღწერს ურთიერთკავშირებს.



ისინი არ ემორჩილებიან და არ ექვემდებარებიან ინტერპრეტაციებს, რომლებიც გაგების რაღაც “სიღრმისეული” დონის აღმოჩენას ესწრაფვიან. ფუკო ასევე გამორიცხავს წარმოშობის ძიებას: მნიშვნელობა აქვს თავად დოკუმენტებს და არა მათი წარმოშობის მომენტს.

**“ძალაუფლების გენეალოგიაში”** ფუკო ბჭობს იმის შესახებ, თუ როგორ მართავენ ადამიანები საკუთარ თავს და სხვებს ცოდნის შექმნის მეშვეობით. სხვათა შორის, იგი აანალიზებს იმას, თუ როგორ ბადებს ცოდნა ძალაუფლებას, განსაზღვრავს რა ადამიანებს გავლენის ობიექტების სახით და შემდეგ როგორ მართავს ცოდნის დახმარებით ამ ობიექტებს.

**“შემლილობასა და ცივილიზაციაში”** ფუკო ეწევა ცოდნის, განსაკუთრებით ფსიქიატრიაში არსებული ცოდნის არქეოლოგიას. თავის გამოკვლევას იგი აღორძინების ეპოქიდან იწყებს, როდესაც შემლილობა და გონება ჯერ კიდევ არ გაყრილან, ერთად იმყოფებიან. მაგრამ 1650 და 1800 წლებს (კლასიკურ პერიოდში) შორის, მათ შორის დადგენილი იქნა დისტანცია და საბოლოო ანგარიშით გონებამ დაიმორჩილა შემლილობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფუკო აღწერს გონებასა და შემლილობას შორის “დარღვეულ დიალოგს”.

**კლინიკის დაბადება.** თუმცა მედიცინაში ჯერ კიდევ არ არსებობდა კლინიკური სტრუქტურა, საკვანძო მნიშვნელობა ქონდა კლინიკის წარმოშობას, სადაც პაციენტებს საწოლში აკვირდებოდნენ. აქ ძირითადი მნიშვნელობა აქვს ფუკოს მიერ გამოყენებულ “დაძაბული-დაჭინებული შეხედულების” გამოთქმას, ანატომიურ-კლინიკურ დაჭინებულ-დაძაბულ ხედვას ფუკო “დიდ გარღვევად” თვლის დასავლურ მედიცინაში. ამგვარად, მოხდა არა ცოდნის ევოლუცია, არამედ ეპისტემის შეცვლა. ექიმები უკვე აღარ თამაშობდნენ იგივე თამაშს; ეს იყო უკვე სხვა თამაში სხვა წესებით. ეს თამაში მდგომარეობდა იმაში, რომ ადამიანები (პაციენტები) მეცნიერული ცოდნის და პრაქტიკის საგნად იქცნენ (შეცვალეს რა დაავადება შესასწავლი არსების სახით). სტრუქტურალისტური მიდგომის თვალსაზრისით, შეიცვალა დისკურსის სწორედ ხასიათი: დაავადებათა დასახელებები, სახელწოდებები, დაჯგუფებები, დაკვირვებული ობიექტების სფერო.

**დისციპლინა და სასჯელი.** ამ ნაწარმოებში ფუკო განიხილავს 1757 და 1830 წლების ინტერვალს – ანუ პერიოდს, როდესაც ტუსაღთა წამება სატუსაღოს წესებით კონტროლმა შეცვალა. წამების დროს ნათლად ვლინდებოდა კავშირი ცოდნასა და ძალაუფლებას შორის; წესების ახალი სისტემა გამიზნული იყო არა იმისათვის, რომ უფრო ჰუმანური ყოფილიყო თუ გამხდარიყო, არამედ იმისთვის, “რათა უკეთესად დაესაჯა... რათა უფრო ღრმად ჩაესო დამსჯელი ძალაუფლება სოციალურ სხეულში”.

ეს ახალი ტექნოლოგია, დისციპლინარული ძალაუფლების ტექნოლოგია, სამხედრო წესრიგს და წესებს ემყარებოდა.

**იგი დისციპლინარული ძალაუფლების სამ ინსტრუმენტს გამოყოფს:**

**პირველი** – იერარქიული თვალთვალი, ანუ ჩინოვნიკთა მიერ ყველაფერ იმის თვალთვალი და დაკვირვება, რაც მათ მიერ კონტროლირდება, ერთი დაძაბული-დაჭინებული ხედვით.

**მეორე ინსტრუმენტი** – მანორმალიზებელი განაჩენის-მსჯავრის გამოტანის-დადების უნარი და იმათი დასჯა, ვინც ნორმებს არღვევს. ასე, მაგალითად, ადამიანები შეიძლება უარყოფითად შევაფასოთ და დავსაჯოთ დროის კატეგორიებში (დაგვიანებისათვის),



საქმიანობის კატეგორიებში (უყურადღებობის გამო) და ყოფაქცევის კატეგორიებში (უპატივცემულობის გამო).

**მესამე ინსტრუმენტი** – ადამიანზე თვალთვალისა და დაკვირვებისათვის და მათ შესახებ მანორმალისებელი განაჩენების გამოტანაში გამოკვლევების გამოყენება. დისციპლინარული ძალაუფლების ეს ინსტრუმენტი ორივე დანარჩენს მოიცავს.

**პანოპტიკუმი..** ფუკოს აინტერესებს, თუ როგორ ბადებს ცოდნა ძალაუფლების განხორციელების მეთოდებს. “პანოპტიკუმი” ესაა სტრუქტურა, რომელიც საშუალებას აძლევს მომსახურე პერსონალს პატიმართა ცხოვრების ყველა ასპექტს უთვალთვალონ. პანოპტიკუმი ციხის თანამშრომელისათვის ძალაუფლების უზარმაზარი წყარო ხდება, რამდენადაც მათი ტოტალური ზედამხედველობა - თვალთვალის შესაძლებლობას აძლევს. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ პანოპტიკუმის ძალაუფლება ფართოვდება პატიმართა მიერ საკუთარი თავის კონტროლის ხარჯზე; ისინი თავს იკავებენ სხვადასხვა ქმედებებისაგან, იმიტომ, რომ ეშინიათ, რომ მათ მეთვალყურენი დაინახავენ.

აქ შეიმჩნევა ცოდნას, ტექნოლოგიასა და ძალაუფლებას შორის ცხადი კავშირი. პანოპტიკუმი იყო ადამიანთა შესახებ ინფორმაციის მოგროვებისათვის გამოყენებული სოციალურ – მეცნიერული ლაბორატორიებისა და სოციალური მეცნიერების სხვა მეთოდთა წინამორბედი და მაცნე. სხვა დონეზე ფუკო პანოპტიკუმს განიხილავს, როგორც “საზოგადოების მთლიანი ტიპის”, დისციპლინარული საზოგადოების საფუძველს.

**“სექსუალობის ისტორია”.** აქ კვლავაც ძალაუფლების გენეალოგიაზე კეთდება აქცენტი.. ფუკო იკვლევს, თუ როგორ ერთვება სექსი დისკურსში და როგორ განმსჭვალავს, ასაზრდოებს ძალაუფლებას ამ დისკურსს.

დასავლეთში საკითხის გამორკვევა, თუ ვინა ვართ ჩვენ, სულ უფრო მეტი ხარისხით დაუკავშირდა სექსს. ფუკო ამას ასე აჯამებს: “სექსი – ყველაფრის ამხსნელია”.

ფუკო არ ამახვილებს ყურადღებას სექსუალობის დათრგუნვაზე, ამის ნაცვლად იგი ამტკიცებს, რომ სექსის მეცნიერული შესწავლა მიმართული უნდა იყოს სექსისა და ძალაუფლების ურთიერთკავშირის განხილვაზე. XVII-ე საუკუნემდე საზოგადოება ისწრაფვოდა განეხორციელებინა კონტროლი სიკვდილზე, მაგრამ ამ საუკუნეების დასაწყისიდან ამ სწრაფვამ სიცოცხლის კონტროლზე გადაინაცვლა, განსაკუთრებით კი სექსის კონტროლზე.

**სიცოცხლეზე ( და სექსზე) ძალაუფლებამ ორი ფორმა მიიღო:**

**პირველი,** არსებობდა “ადამიანური სხეულის ანატომიური პოლიტიკა,” რომლის მიზანი ადამიანური სხეულის (და მისი სექსუალობის) დისციპლინირება იყო.

**მეორე:** არსებობდა “მოსახლეობის ბიოპოლიტიკა”, რომელიც მიმართული იყო როგორც მოსახლეობის ზრდის, და მისი ჯანმრთელობის, ისე სიცოცხლის ხანგრძლივობის და ა.შ. კონტროლსა და რეგულირებაზე.

ორივე შემთხვევაში საზოგადოება განიხილავდა “სიცოცხლეს, როგორც პოლიტიკურ ობიექტს”. სექსი ცენტრალურ ადგილს იჭერდა ორივე შემთხვევაში: თანამედროვე დასავლეთში სექსმა შეიძინა უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე სულმა. და ისეთივე მნიშვნელოვანი გახდა, როგორც თავად სიცოცხლე. სექსუალობის შესახებ ცოდნის დახმარებით საზოგადოება დიდ ძალაუფლებას იღებს თავად სიცოცხლეზე. მაგრამ, მიუხედავად ამ კონტროლის გაფართოვებისა, ფუკო მაინც იმედოვნებს განთავისუფლებას.